

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

**Student Journal of Social Sciences**

№29, თებერვალი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2025

**E ISSN: 2449-3066**

## **სარედაქციო კოლეგია:**

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,  
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა  
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

## **ტექნიკური ჯგუფი:**

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მარიამ პეტრიაშვილი, დათა გერანტია. უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი საგაზეთო ტექსტების ნარატიული ანალიზი 4
2. მარიამ არაბაშვილი, მარდია დუიშვილი. ქართული კონსტიტუციონალიზმის ევოლუცია: ისტორიული საფუძვლები, ინსტიტუციური განვითარება და თანამედროვე გამოწვევები 23
3. ელენე მიქელთაძე. უშვილობა, როგორც არჩევანი, ქართველ ქალებში. 42



უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი საგაზეთო ტექსტების ნარატიული ანალიზი

მარიამ პეტრიაშვილი

დათა გერანტია

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [mariam.petriashvili404@sps.tsu.edu.ge](mailto:mariam.petriashvili404@sps.tsu.edu.ge)

E-mail: [data.gerantia494@sps.tsu.edu.ge](mailto:data.gerantia494@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ქართული პრესა უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე განიხილავდა ამ დიდმნიშვნელოვან ამბავს. არაერთი საგულისხმო ტექსტი მიეძღვნა უნივერსიტეტის იუბილეს. პირველ წლებში უნივერსიტეტის დაარსება აღინიშნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ წლებში, დამოუკიდებლობის აღდგენამდე, უნივერსიტეტის იუბილეს აღნიშნავდა საქართველოს სსრ, შესაბამისად, იუბილისადმი მიძღვნილი ტექსტები შინაარსობრივად განსხვავდება- პირველი რესპუბლიკის დროს, საბჭოთა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდებში სხვადასხვა შინაარსის ტექსტები ქვეყნდებოდა. ასევე, განსხვავდება საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ტექსტები იმის მიხედვით, თუ ვინ იყო სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი საგაზეთო ტექსტები უნივერსიტეტის გახსნის დღიდან- თანამედროვეობამდე, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთოთ მათში ასახული ეპოქათაშორისი განსხვავებები, ასევე გამოვიკვლიოთ, როგორ აღინიშნებოდა უნივერსიტეტის იუბილე წლების განმავლობაში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვიყენებთ თვისებრივ კონტენტ-ანალიზს, როგორც კვლევის მეთოდს, რომლის დახმარებითაც შევძლებთ ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს, შემდეგ კი კონტექსტურ ანალიზსა და შედარებით ანალიზს. წერილობითი ტექსტის სრულფასოვანი შინაარსობრივი კვლევა მხოლოდ ამ მეთოდით შეიძლება ჩატარდეს.

საკვლევი მასალა შევარჩიეთ შემდეგნაირად- მოვიძიეთ ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც ყველაზე ფართოდ გააშუქეს უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი ცერემონია კონკრეტულ წელს, გამოაქვეყნეს მნიშვნელოვან პირთა წერილები. გამოვიკვლიეთ 1918 წლიდან ყოველი 10 წლის შემდეგ უნივერსიტეტის იუბილე 2018 წლის ჩათვლით, როდესაც აღინიშნა სასწავლებლის 100 წლისთავი. შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება განპირობებულია ფაქტით, რომ პრესაში ძირითადად ამ თარიღებთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა მნიშვნელოვანი, საკვლევად გამოსადეგი ტექსტები, ასევე, საკვლევი მასალის ეს მოცულობა საკმარისია შესაბამისი დასკვნების გამოსატანად.

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, იუბილე, მეცნიერების ტაძარი, განათლება.

## შესავალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამიერკავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯი იყო. უნივერსიტეტი გახსნის პირველივე წლებში იქცა პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად, რაც საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში სრულად გამოვლინდა- კომუნისტური ხელისუფლება მარქსისტულ-ლენინისტური იდეების გავრცელების მთავარ საშუალებად სწორედ უნივერსიტეტს იყენებდა, ოკუპაციამდე კი უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში საგანმანათლებლო სფეროს აღორძინებითა და ღირსეულ საზოგადო მოღვაწეთა გამოზრდით. ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დაქვემდებარებული პრესა, რა თქმა უნდა, გამოხატავდა ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის ურთიერთდამოკიდებულებას, პროპაგანდის გზით კი მცდელობები, გარდაეჭმნათ უნივერსიტეტი პოლიტიკური სისტემის განმამტკიცებელ ერთეულად, არ წყდებოდა. ყოველივე ამის კვლევა ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა, რათა გამოვკვეთოთ, თუ როგორ იცვლებოდა საუნივერსიტეტო ცხოვრება კონკრეტულ ეპოქებში- დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან- სტალინის ტირანულ რეჟიმამდე, შემდგომში ხრუმოვისა და ბრეჟნევის პერიოდამდე, საბოლოოდ კი, რეჟიმის კრიზისიდან- დღევანდელ დღემდე. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შერჩეულ საკითხზე კვლევების სიმწირე შეიმჩნევა- წინა კვლევებში უნივერსიტეტის ისტორია გაანალიზებულია მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის კონტექსტში და ყურადღების მიღმა რჩება სხვა მნიშვნელოვანი მეცნიერები, მათი წერილები და პოლიტიკურ რეჟიმთან მიმართება, რაც ჩვენს კვლევაში გავითვალისწინეთ და ვეცადეთ, შეგვევსო სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაკლებობა.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენ მიერ შერჩეული საკითხი არ გამოირჩევა სამეცნიერო ლიტერატურის სიმრავლით. ძირითადად, უნივერსიტეტთან, მის იუბილესა და ზოგად განვითარებასთან დაკავშირებით შესამჩნევია ტენდენცია- მნიშვნელოვანი მეცნიერების ავტორობით შექმნილი უნივერსიტეტისადმი მიძღვნილი არცერთი ტექსტი არ არის სიღრმისეულად განხილული დღემდე, ისეთი თარიღი, როგორც უნივერსიტეტის იუბილეა, არ არის სიღრმისეულად გაანალიზებული და უნივერსიტეტის ისტორია, ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მოძიებადი ნაშრომები კი მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდება.

მალხაზ მაცაბერიძის წიგნი „ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია“ (2024) რამდენჯერმე განიხილავს ივანე ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტის ურთიერთმიმართებას. გადმოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იგეგმებოდა პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ნაშრომში ხაზგასმულია ფაქტი, რომ უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა ჯერ კიდევ 1917 წელს დროებითი მთავრობის მიერ გაიცა- ამის შესახებ ჩვენ მიერ საკვლევ საგაზეთო ფურცლებზე არაფერია ნათქვამი, წიგნში მოცემული ინფორმაცია კი, დაგვეხმარება დასკვნების გამოტანაში. ასევე, ნაშრომში გაანალიზებულია დიდი

მეცნიერების მიერ შექმნილი წერილები, რომლებიც დაიბეჭდა არა პერიოდულ გამოცემებში, არამედ ცალკე წიგნებად- მემუარების სტილში. მაგალითად, შალვა ნუცუბიძის მოგონებები უნივერსიტეტის გახსნის ღონისძიების სამზადისთან დაკავშირებით, ასევე ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობასთან დაკავშირებით- ყოველივე ეს დაგვეხმარება, გავიგოთ ის საერთო ეროვნული ფონი, რომელიც თან ახლდა უნივერსიტეტის დაარსებას და არ არის გადმოცემული საგაზეთო ტექსტებში.

ნაშრომი განიხილავს იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია და მისი თანმდევი აკადემიურ-ადმინისტრაციული მოქმედებები იყო. გამოყენებულია ის საგაზეთო პროდუქტი, რომელიც ჩვენ მიერ საკვლევად არის შერჩეული, თუმცა გამოყენება ლიმიტირებული და ზოგადია- გაზეთები იუწყებოდნენ: „დღეს, იანვრის 26-ს, ქართული გიმნაზიის შენობაში (წყნეთის ქ. №51) გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი. ვინაიდან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათოლიკოსო წირვა იქნება შესრულებული და ეკლესიაშივე გადახდით იქნება პარაკლისი“ (გვ.176). 1918 წელს გაზეთ „სახალხო საქმის“ 155-ე ნომერს ავტორი ზედაპირულად აანალიზებს და არ განიხილავს, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ავტორობით დაბეჭდილ წერილებს, რაც არ გამოგვრჩა ჩვენს კვლევაში.

ნაშრომში არაფერია ნათქვამი უნივერსიტეტის იუბილის აღნიშვნასა და მისადმი მიძღვნილ წერილებზე, გამონაკლისის სახით შეგვიძლია, აღვნიშნოთ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის გახსნის 20 წლისთავთან დაკავშირებით. ნაშრომში განხილული არ არის უნივერსიტეტის შემდგომი წლების იუბილები, არც მასთან დაკავშირებული ტექსტები, თუმცა გაანალიზებულია ის ტექსტები, რომლებიც მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში არ დაბეჭდილა, მაგალითად, აკაკი ჩხენკელის მოგონება „უნივერსიტეტის დაარსება“ და სამსონ დადიანის „მეცნიერების ტაძარი“. ეს დაგვეხმარება გავიგოთ, თუ როგორი საგამომცემლო პოლიტიკა ჰქონდათ იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებს (იმის მიხედვით, თუ რა იბეჭდებოდა და რა- არა).

წიგნში წარმოდგენილია 1921 წლის 25 თებერვლის, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, ასევე 1922 წლებში სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები სიღრმისეულად არის გაანალიზებული. გამოტოვებულია 1928 და 38 წლებში უნივერსიტეტის იუბილე, ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი წერილები, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა- ავტორის კვლევის შეზღუდვები გვამღევს საკმარის საფუძველს, გავაანალიზოთ ის პერიოდული გამოცემები, რომლებიც ბეჭდავდნენ ტექსტებს უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით როგორც ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების, ასევე მის შემდეგ პერიოდში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ მიერ შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვება როინ მეტრეველის „ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი“ (1996), რომელშიც ასახულია დიდი მეცნიერისა და მისი სახელობის უნივერსიტეტის ურთიერთმიმართება. წიგნის შინაარსი ადასტურებს ტენდენციას- უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღები, ისევე როგორც მისი ისტორია განიხილება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის კონტექსტში და, ასევე, მოცულია მხოლოდ ის პერიოდი,

როდესაც იგი აქტიურად მოღვაწეობდა- 1918 წლიდან- 1940 წლამდე (მის გარდაცვალებამდე). წიგნში ავტორი განიხილავს ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მოღვაწეობას, მის მოგონებებს. წიგნში დეტალურადაა აღწერილი ის გარემოებები, რომელთაც უნივერსიტეტის დაარსებას ხელი შეუწყვეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორი არ განიხილავს საგაზეთო ტექსტებს, რომლებიც უნივერსიტეტს უკავშირდება და ჰყავს ივანე ჯავახიშვილის გარდა, სხვა ავტორებიც.

დავით სართანიას ნაშრომი „ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავალისათვის“ (2010) განხილულია უნივერსიტეტის დაარსების წინაპირობები უფრო ფართო კონტექსტში. ნაშრომში აღნიშნულია, თუ რა გავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმა ქართულ საზოგადოებაზე, ქართველ მეცნიერებზე, ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე. განხილულია გაზეთები „სახალხო ფურცელი“, „ჩვენი ქვეყანა“ და „ერთობა“, თუმცა მხოლოდ 1917 და 1918 წლების ნომრები. იმის გამო, რომ ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი საკითხი საანალიზოდ 1918 წლის საგაზეთო ნომრებსაც მოიცავს, აღნიშნული ნაშრომი საყურადღებოა- მაშინდელი სოციალ-დემოკრატების მისწრაფებები, რომლებიც გაზეთებშიც გამოიხატებოდა, გაზეთის გამომცემლებს არ აძლევდა საშუალებას, დაებეჭდათ ისეთი ავტორების ან ისეთი შინაარსის ტექსტები, რომლებიც მათ იდეალებსა და მიზნებს ეწინააღმდეგებოდა, შესაბამისად, შესაძლებელია, გაზეთში გადმოცემული ინფორმაცია სრულად არ ასახავდეს არსებულ ვითარებას, ამ შემთხვევაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილ ტექსტებს. ეს გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ, რა გავლენას ახდენდა იდეოლოგია საზეიმო ღონისძიებაზე, იყო თუ არა ის ასახული საგაზეთო ფურცლებზე და რამდენად შეესაბამება დავით სართანიას მიერ ხსენებულ სხვა ტექსტებსა თუ ისტორიულ ფაქტებს. მაგალითად, ნაშრომში აღნიშნულია რუსული არმიის არყოფნის მნიშვნელობა უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით- ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტის გახსნას შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ რუსული საჯარისო ნაწილები აღარ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ჯერ კიდევ პეტროგრადის დაქვემდებარებაში იყო.

ჩვენს საკვლევ საკითხთან შესაბამისი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი არის თ. ადეიშვილის „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება“, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომში განხილულია უნივერსიტეტის ისტორია მისი დაარსებიდან- 2018 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არ აქვს განხილული საგაზეთო ტექსტები, იგი განიხილავს უნივერსიტეტის დაარსების თარიღს, მასთან დაკავშირებულ წერილებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ განვითარებას. მაგალითად, აღნიშნულია, თუ როგორ დაიწყო თ. ღლონტმა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობა- 1928 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წელი შესრულდა, ღლონტმა გამოაქვეყნა სტატია და „მკაცრად გააკრიტიკა ბატონი ივანე და მისი თანამოაზრენი“ (გვ.382). აღნიშნულია „წითელი ტერორის“ მსხვერპლი რექტორების ვინაობა, ასავე ისიც, რომ დევნას ივანე ჯავახიშვილი გადაურჩა და გარდაიცვალა 1940 წელს. საყურადღებოა ის, რომ ავტორი აღნიშნავს 1938 წელს უნივერსიტეტის იუბილის აღსანიშნავ ცერემონიას- ამბობს, რომ იგი გრანდიოზულად აღინიშნა, თუმცა მეტად ამ საკითხს არ უღრმავდება, რაც გვიქმნის საფუძველს, გამოვიკვლიოთ ზემოხსენებული ღონისძიება საგაზეთო ტექსტების საშუალებით. ნახსენებია ვიქტორ კუპრაძე, გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, რომლის რექტორობის პერიოდშიც აღინიშნა უნივერსიტეტის 40 წლის იუბილე.

უნივერსიტეტის გრანდიოზული, 50 წლის იუბილე ილია ვეკუას რექტორობის პერიოდში აღინიშნა, თუმცა ცერემონიას, ისევ და ისევ, ავტორი არ ანალიზებს, ასევე არ ახსენებს 1978 წელს უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილ ცერემონიას და იმავე წლის გაზაფხულზე დაწყებულ საპროტესტო დემონსტრაციებს.

ავტორი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ თსუ-ის 70 წლის იუბილე ფართოდ აღინიშნა ნოდარ ამაღლობლის რექტორობის პერიოდში.

თ. ადვიშვილი დიდ ადგილს უთმობს როინ მეტრეველის რექტორობის ეპოქის აღწერას, როდესაც აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლისთავი, თუმცა, უფრო მეტად, რექტორის აკადემიურ-ადმინისტრაციულ საქმიანობასა და მიღწევებს აღწერს. მთლიანობაში, ნაშრომის ავტორი ანალიზებს უნივერსიტეტის ისტორიას მისი ხელმძღვანელობის ცვლილების კონტექსტში და ნაკლებად ეხება უნივერსიტეტი საიუბილეო თარიღებსა და მნიშვნელოვან მეცნიერთა მიერ უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ ტექსტებს, ასევე, ზოგადად, საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და ქართულ პრესაში საუნივერსიტეტო სიახლეების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

საბოლოოდ, ზემოჩამოთვლილი სამეცნიერო წყაროები, რაც კვლევის საწყის ეტაპზე, კვლევის ფოკუსის შერჩევაში დიდ როლს თამაშობს, ამასთანავე, გვეხმარება დავასაბუთოთ, რომ ჩვენ მიერ შერჩეული საკითხი არ არის გამოკვლეული სამეცნიერო წრეების მიერ.

## **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მეთოდად შევარჩიეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. რადგანაც კვლევა თვისებრივი ხასიათისაა, ამავდროულად, გვიწევს, ვიმუშაოთ საარქივო მასალაზე, ვიკვლიოთ საგაზეთო ტექსტები, მათი შინაარსი და სიღრმისეულად გავაანალიზოთ ისინი, კვლევის ერთადერთი გამოსადეგი მეთოდოლოგიური საშუალება თვისებრივი კონტენტ-ანალიზია. შევარჩიეთ ის ძირითადი გაზეთები, რომლებიც კონკრეტულ ეპოქაში უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წერილებს აქვეყნებდნენ- შეირჩა 1918 წლიდან ყოველი 10 წლის შემდეგ, 2018 წლამდე გამოცემული გაზეთები- ზოგადი კონტექსტის გამოკვეთისთვის საკმარისია საგაზეთო ნომრების ამ რაოდენობის კვლევა, ამავდროულად, კვლევის ფოკუსის შერჩევამდე დაკვირვებით დავადგინეთ, რომ მხოლოდ შერჩეულ თარიღებში ქვეყნდებოდა უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი სტატიები და დიდმნიშვნელოვან მოღვაწეთა წერილები.

## გაზეთების მიმოხილვა:

### 1918 წ.

1918 წლის 26 იანვარი ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი დღე იყო. სწორედ ამ დღეს გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი, რომელსაც უნდა აეთო საზოგადოებაში გონებრივი განათლებისა და აღორძინების ლამპარი. ამ დღეს ეხმიანება გაზეთი „სახალხო საქმე“.

გაზეთში თამამად არის ნახსენები ყოველივე უარყოფითი, რაც რუსეთმა ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. საუბარია იმაზე, რომ იმპერიული რუსეთის შემოსვლითა და დამკვიდრებით საქართველომ შეიცვალა ის გეზი, რომელიც ევროპისკენ ჰქონდა აღებული, რომ რუსეთს საქართველო მხოლოდ ველურ, ფეხქვეშ გასათელ ქვეყანად მიაჩნდა და მისი ღირსებით, ღირებულებებითა და განვითარებით არასდროს დაინტერესებულა: „ჩვენს ბატონებს, ძველი რუსეთის მტარვალურს მთავრობას საქართველო მხოლოდ ფეხქვეშ სათელ ველურთა ქვეყანად მიაჩნდა და მისი ღირსება, ღირებულება, არსებობა და განვითარება მას არ აინტერესებდა. იგი მას ამ მხრით არც კი იცნობდა და არც სურვილი ჰქონდა გაეცნო“ (გვ.2).

გაზეთში უნივერსიტეტის დაარსების მოვლენა ყოველმხრივ დადებითად არის წარმოჩენილი. ავტორები უნივერსიტეტს უწოდებენ ქართული მეცნიერების ტამარს და მათ სწორედ უნივერსიტეტი მიაჩნდათ დაბეჩავებული ერის წინსვლის საწინდრად. ყურადღება გამახვილებულია, იმაზეც, რომ საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს უნივერსიტეტის შენარჩუნებისთვის, რათა ქართული მეცნიერების კოცონი არ ჩაიფერფლოს: „ის შეძლებს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება და უკანასკნელ ძალას იღონებს, რათა ერთხელ ანთებული ქართული მეცნიერების კოცონი არ ჩაიფერფლოს, არ ჩაქრეს“ (გვ.2).

არაფერია ნახსენები უნივერსიტეტის დაარსების იდეაზე, პიროვნებებზე, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ამ ყველაფრის განხორციელებაში. გაზეთი არ ავრცელებს ინფორმაციას დიდი მეცნიერების წერილების შესახებ, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტის დაარსებას. ამის ნაცვლად, აქვეყნებს ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფიას. არაფერია ნახსენები მათ ღვაწლსა და შრომაზე, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთვის გაიღეს. ძირითადი ყურადღება, როგორც ვახსენეთ, ეთმობა უნივერსიტეტის როლსა და დანიშნულებას, იმ შედეგებს, რომელთა მოტანაც უნივერსიტეტის დაარსებას შეუძლია ქართველი ერისთვის.

### 1928 წ.

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე განსაკუთრებულ გარემოში აღინიშნა- უნივერსიტეტის დაარსებიდან პირველი ათწლეულის დასრულების აღნიშვნა აკადემიას საბჭოთა რეჟიმის ბატონობის პირობებში მოუწია. 1926 წელს, იუბილემდე ორი წლით ადრე, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ივანე ჯავახიშვილი, რომელიც კომუნისტური პარტიის კადრმა, თევდორე ღლონტმა შეცვალა. სწორედ თედო ღლონტის სტატის ეთმობა ყველაზე დიდი ადგილი გაზეთ „კომუნისტი“ 1928 წლის 25 თებერვლის ნომერს. გაზეთის პირველ გვერდზე,

ის ადგილი, რომელზეც მოცემულია გაზეთის შინაარსი (ერთგვარი სარჩევი) და განსაკუთრებულ თარიღებში დიდი ასოებით იწერება აღსანიშნავი მოვლენის შესახებ, ეთმობა წარწერას „საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის თავი“ და გაზეთი არაფერს ამბობს უნივერსიტეტის იუბილეზე.

თედო ლლონტის სტატია „ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში“ (გვ.3) ბოლშევიკთა ქმედებების გამართლების, მათი პოლიტიკის ქებისა, რეჟიმის აპოლოგიის შინაარსის შემცველი ტექსტია. რექტორი არათუ არ ეხება დიდ მეცნიერებს, არამედ ამბობს, რომ მენშევიკური მთავრობა უნივერსიტეტს კერძო დაწესებულებად აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ მას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი ჰქონდა. მნიშვნელოვანწილად, იგი ფინანსურ დანახარჯებს განიხილავს და აცხადებს, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ 1918 წელს უნივერსიტეტისათვის დახარჯულ 75 000 მანეთს ბევრად აღემატება ბოლშევიკური მთავრობის მიერ 1928 წელს დახარჯული ერთი მილიონი მანეთი, რომლის ნაწილითაც „იანვარში (1928 წ.) პროფესორების და დოცენტების ხელფასი ავწიეთ 35 პროცენტით ე. ი. ჯამაგირების მომატებაზე დახარჯეთ 76 ათასი მანეთი ე. ი. მეტი, ვიდრე მენშევიკური მთავრობა ხარჯავდა მთელ უნივერსიტეტზე“ (გვ.3). ლლონტი უნივერსიტეტის სამეცნიერო ღირებულებასაც საბჭოთა რეჟიმისთვის სარგებლიანობის კუთხით განიხილავს და ამბობს, რომ უნივერსიტეტი გააჩენს ქიმიკოსებს, ინჟინრებს, ექიმებსა და ყოველივე იმ პროფესიის ადამიანს, რომელიც საბჭოთა კავშირს სჭირდება ეკონომიკის აყვავებისათვის ფაბრიკა-ქარხნებში.

გაზეთი გადმოსცემს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისგან უნივერსიტეტს წითელი დროშა გადაეცა საჩუქრად წარწერით: „შრომისა და მეცნიერების კავშირის გზით- სოციალიზმისაკენ“.

გაზეთში ძირითადი ადგილი უნივერსიტეტის აკადემიურ-ადმინისტრაციული საქმიანობის აღწერას ეთმობა, ფაქტები კი სტატისტიკითაა გამყარებული, რასაც, სავარაუდოდ, მკითხველში კომუნიზმის ეფექტურობის შესახებ აზრი უნდა გაემყარებინა.

გაზეთში დაიბეჭდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სურათი, რომელიც უნივერსიტეტის ერთადერთი აკადემიური სივრცე იყო. მოცემულია მეცნიერთა: ნიკო მუსხელიშვილის, კორნელი კეკელიძისა და შალვა ნუცუბიძის პორტრეტები, თუმცა არ დაბეჭდილა მათი სტატიები.

აღსანიშნავია განათლების სახალხო კომისრის მოადგილის, მარიამ ორახელაშვილის სტატია, რომელიც უნივერსიტეტის „მეცნიერების ტამრად“ მოხსენიებას ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ იგი უნდა შეიცვალოს ტერმინით „შრომის და მეცნიერების ლაბორატორია“. ორახელაშვილი უნივერსიტეტს, პროფესორებსა და სამეცნიერო მუშაკებს მოუწოდებს, გახდნენ „საჭირო და განუშორებელ აქტიურ მონაწილეებათ სოციალისტურ აღმშენებლობის თვითვეულ დარგში“ (გვ.3).

### **1938 წ.**

1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც საქართველოს სსრ და სრულიად საბჭოთა კავშირი განსხვავებულად შეხვდა- 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა უამრავი ადამიანი, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებიც. უნდა აღინიშნოს, რომ

რეპრესიებს ივანე ჯავახიშვილი გადაურჩა, მეტიც, 1938 წელს იგი შრომის წითელი დროშის ორდენითაც დაჯილდოვდა და ჩანდა, თითქოს დაიწყო მისი სამეცნიერო-ეროვნული მოღვაწეობის დაფასება.

გაზეთი კომუნისტი 1938 წლის 30 მაისი ნომრის პირველივე გვერდზე ბეჭდავს „20 წელი შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. მხურვალე ბოლშევიკური სალამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ყველა მუშაკს, სტუდენტობას- მოწინავე მეცნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს! წინ, სოციალისტური მეცნიერების ახალ-ახალი მწვერვალებსკენ!“ (გვ.1). გაზეთის აღნიშნული ნომერი გამოირჩევა სტატიების მრავალფეროვნებით- გაზეთის ოთხივე გვერდზე იბეჭდება უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი წერილები სტუდენტების, პროფესორებისა და პარტიული მუშაკების ავტორობით.

უნივერსიტეტის რექტორი გ. კიკნაძე უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლის თავს ვრცელ სტატიას უძღვნის. რექტორი უნივერსიტეტს საბჭოთა რეჟიმის დიდი მანქანის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განიხილავს და მის ავტონომიურობას არ აღიარებს. ამბობს, რომ სწორედ ბოლშევიკური კადრების სამჭედლო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კომუნისტური რეჟიმის მოსვლის შემდეგ აღორძინდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი ქვეყნის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ლავრენტი ბერიას დანიშვნას ანიჭებს. ხაზს უსვამს ქართველი ერის დიდებულ, მრავალსაუკუნოვან ეროვნულ კულტურას, რომელიც ცარისტური ეპოქის მიერ დამცირებული იყო. რექტორი უნივერსიტეტის გახსნის შეზღუდვაში იმპერიულ რუსეთს ადანაშაულებს, ხოლო უნივერსიტეტის დაარსების იდეას ბოლშევიკთა იდეად წარმოაჩენს- „პრავდას 1912 წლის 26 მაისის ნომერში დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი სწერდა: „24 მაისს მინისტრთა საბჭოში განხილული იყო საკითხი კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ“ (გვ.2). რექტორი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდს ეხება, ამბობს, რომ დაარსების დღიდან უნივერსიტეტს სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება და მზრუნველობა არ უნახავს, უნივერსიტეტის განვითარებას კი 1921 წლის მოვლენებთან აკავშირებს. სტატიის შემდეგ ნაწილში რექტორი სტატისტიკურ ინფორმაციას გადმოგვცემს, რომელსაც, ალბათ, უნდა წარმოეჩინა საბჭოთა რეჟიმის დიდებულება და ეფექტურობა. საბოლოოდ, იგი უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო პარამეტრს რეჟიმის მიერ გაწეული დახმარების შედეგად მიიჩნევს და აკადემიის მისიად სახავს: „დაეუფლონ ლენინიზმს, ამაშია უმაღლესი სკოლის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ამაშია საბჭოთა სტუდენტობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა“ (გვ.2), ამ მიზნის მიღწევისთვის პირობების შექმნაში კი მადლობას ლავრენტი ბერიას უხდის.

აკაკი შანიძის სტატია „საბურთალოში თუ ნავთლულში?“ უნივერსიტეტის დაარსების წინა პერიოდს აღწერს, როცა დავა იყო სომეხ ბურჟუაზიასა და ქართველ თავადაზნაურობას შორის უნივერსიტეტის გახსნის ადგილის თაობაზე. დაპირისპირებას, აკაკი შანიძის თქმით, ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მოუღო ბოლო, ხოლო დავის დაწყებაში ცარისტულ რეჟიმს ადანაშაულებს: „ბოლოს, როგორც იქნა, მეფის მთავრობამ გამოუგდო კავკასიას, შუღლისა და ეროვნული კინკლაობის გაღვივების მიზნით, თბილისის პოლიტექნიკუმის დაარსების პროექტი“ (გვ.3).

„ოქტომბერმა გადაწყვიტა- ერთის ნაცვლად მრავალი უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო ამიერკავკასიაში და, სხვათა შორის, თბილისსა და ერევანშიაც“ (გვ.3).

მოსე გოგიბერიძეც ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების შედეგად მიიჩნევს უნივერსიტეტის დაარსებას, ივანე ჯავახიშვილს კი მიაწერს გამონათქვამს- „ოქტომბერს რომ არ გაემარჯვნა, დღეს ქართველებს უნივერსიტეტიც არ გვექნებოდა“ (გვ.3). ავტორი უნივერსიტეტის აღმშენებლობას სოციალიზმის პროდუქტად მიიჩნევს.

განსხვავებულ სტილს ირჩევს სიმონ ჯანაშია, რომელიც უნივერსიტეტს საბჭოთა ხელისუფლების პირშოდ მიიჩნევს, ცარისტულ პერიოდში უნივერსიტეტის არარსებობას კი რეჟიმის რუსუფიკატორული პოლიტიკის მიზეზად მიიჩნევს.

პროფესორი გიორგი ახვლედიანი სტატიაში „ქართული მეცნიერებისა და კულტურის ზეიმი“ ივანე ჯავახიშვილის როლს განადიდებს, მენშევიკურ მთავრობას უბადრუკს უწოდებს და აკადემიის შენარჩუნებას ივანე ჯავახიშვილის მთავარ მიღწევად თვლის. პროფესორი საბჭოთა რეჟიმის დამყარებასა და უნივერსიტეტის განვითარებას შორის აშკარა კავშირს ხედავს, ხოლო მენშევიკური მთავრობის პასუხებს უნივერსიტეტის მიერ კათედრების საჭიროებებისათვის მიმართვისას, ყველაფერს ხომ უნივერსიტეტს ვერ მივცემთო, მწარე მოგონებად იხსენებს.

ივანე ჯავახიშვილის წერილს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის“ ვრცელი ადგილი ეთმობა გაზეთის მესამე გვერდზე. ივანე ჯავახიშვილი აღწერს უნივერსიტეტის დაარსებამდე არსებულ მდგომარეობას, ამბობს, რომ აკადემიის შექმნის იდეას რეალობაში განხორციელების შანსის არმქონე ნაკლებად საჭირო იდეად აღიქვამდნენ. პროფესორი უნივერსიტეტის გახსნას, განვითარებასა და გაფართოებას სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ეფექტურობის მტკიცებულებად მიიჩნევს, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებაში კი უმთავრეს და გადამწყვეტ როლს სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ანიჭებს. დასასრულ, იგი, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ წერილის დაბეჭდვა მიზანშეწონილად მიეჩნიათ მკაცრ საცენზურო პირობებში, საბჭოთა მთავრობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ უნივერსიტეტის დაარსება-განვითარების ისტორიის დეტალური აღწერა, რომელსაც ცალკეული მოღვაწეების მიერ მემუარების წერა არ ჰყოფნის, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებით უნდა წახალისდეს.

### **1958 წ.**

უნივერსიტეტის დაარსებიდან გავიდა 40 წელი. უნივერსიტეტის სახელწოდებაც შეიცვალა და გახდა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 18 თებერვლის ნომრის პირველი გვერდზე საერთოდ არაფერია ნახსენები უნივერსიტეტის შესახებ და ინფორმაცია მხოლოდ მეორე გვერდზეა მოცემული.

აკაკი შანიძე თავის სტატიაში შენიშნავს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს: „თბილისის უნივერსიტეტის მოწყობის წინასწარი სამუშაოების შესრულება, მისი დაარსება და საქმეთა პირველ ხანებში გაძლოა

მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერის და დიდი ადამიანის ივანე ჯავახიშვილის სახელთან“ (გვ.2). აღნიშნულია, რომ ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებით დიდი, საშვილიშვილო საქმე გააკეთა.

ნიკო კეცხოველი საუბრობს პეტრე მელიქიშვილზე, უნივერსიტეტის რექტორზე, რომელმაც შეძლო და ხალხის იმედები გაამართლა- ქართული კულტურის ჩაუქრობელი ცეცხლი გააჩაღა.

გაზეთის ამ სტატიებში საუბარია, ძირითადად, უნივერსიტეტის საწყის ეტაპზე. თუმცა, გაზეთი აშკარად ისახავს მიზნად საბჭოთა პროპაგანდას, ცდილობს, რომ დაანახვოს ერს, თუ რამდენად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირმა განათლების, კერძოდ, უნივერსიტეტის განვითარებას. ამის მაგალითია კუპრამის სტატია, რომელშიც ამბობს, რომ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ იყო და „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა საქართველოში სახალხო განათლება, კერძოდ- უმაღლესი განათლება“ (გვ.3). ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სწორედ საბჭოთა ხელშეწყობის დამსახურება იყო უნივერსიტეტისა და, ზოგადად, ამ სივრცეში განათლებამიღებული ხალხის წარმატება. ეს წარმატება კი საბჭოთა საქმეში ჩადგომით გამოიხატება.

საუბარია იმ მიმართულებებზე, რომელიც განვითარდა საბჭოთა პერიოდში, აღნიშნულია, რომ სამეცნიერო სფერო აყვავდა და ესეც, საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი იყო. საინტერესოა გაზეთის ის ნაწილიც, რომელშიც ნახსენებია ის, რომ სწორედ: „საბჭოთა ხელისუფლების წლებში უნივერსიტეტი გადაიქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო საბჭოთა საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების უმაგალითო განვითარებას“ (გვ.3).

### **1968 წ.**

1968 წელს უნივერსიტეტმა 50 წლის იუბილე, ილია ვეკუას რექტორობის პერიოდში, აღნიშნა. გაზეთ „კომუნისტის“ 20 ოქტომბრის ნომრის პირველ გვერდზე მოცემულია უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სურათი, მის ქვეშ კი წარწერა- „ხვალ იწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის იუბილე- ქართველი ხალხის დიდი დღესასწაული! მხურვალე სალამი მშობლიურ უნივერსიტეტს! მადლობა მის ფუძემდებელთ, მოამაგეთ! მოგილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, ძვირფასო მეგობრებო, ღვაწლმოსილო აღმზრდელნო, უნივერსიტეტის აღზრდილებო, სტუდენტებო! სალამი ჭემმარიტად სახალხო ზეიმის მონაწილეთ, ჩვენს ძვირფას სტუმრებს!“

პირველივე გვერდზე გამოხატულია უნივერსიტეტის ალტერნატიული გერბი- არა ის, რომელიც, დაარსების აღსანიშნავად, დიმიტრი შევარდნაძემ შექმნა, არამედ სხვა, საბჭოთა პერიოდში მიღებული. ილუსტრაციულად, იკვეთება სიმბოლოების შეცვლის ტენდენცია- დიდ ადგილს იკავებს საბჭოთა არქიტექტურის მაგალითი, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, რომელსაც გაზეთი უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის პირველ კორპუსად მოიხსენიებს. დიდ ადგილს იკავებს მეცნიერთა საერთო ფოტო, რომელზეც მოცემულია შალვა ნუცუბიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი და

აკაკი შანიძე- ჩანს, რომ ამ მეცნიერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რეჟიმისთვის და მათ, უნდა ითქვას, რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ მეცნიერებად იცნობდნენ.

პირველი გვერდის ბოლო, ქვედა ნაწილში მოცემულია იუბილის აღსანიშნავი ცერემონიების განრიგი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეიმი გრანდიოზული და მასშტაბური იყო- იგი 24 ოქტომბრამდე გაგრძელდა.

გაზეთში ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა რექტორის სტატიას, რომელმაც, წინა წლებში სხვა რექტორებისა თუ მეცნიერებისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის ისტორია და იმჟამინდელი მდგომარეობა ობიექტურად აღწერა- ხაზი გაუსვა ივანე ჯავახიშვილის დამსახურებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება-განვითარებაში. ახსენა ფაქტები- „თბილისის უნივერსიტეტმა ჩვენს ქვეყანას მოუშადა 35 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი“ (გვ.3). ვეკუა დიდ სამამულო ომს უნივერსიტეტის ცხოვრებაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენის მქონე პერიოდად მოიხსენიებს, რა დროსაც მრავალი სტუდენტი თუ მეცნიერი დაიღუპა. თავის თხრობას ავითარებს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს აყვავების აღწერის მიმართულებით- მათემატიკა, ისტორია, ფილოლოგია თუ სხვა დარგები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით აღორძინდა. საბოლოოდ, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ პარტიის უკმაყოფილება არ გამოეწვია, ხელისუფლების მიერ გაწეულ დახმარებას აღწერს და ამ დახმარების დაგვირგვინებად ახალი, 14-სართულიანი სასწავლო კორპუსის უნივერსიტეტისთვის გადაცემას მიიჩნევს.

გაზეთმა დაბეჭდა უცხო ქვეყნებიდან უნივერსიტეტისთვის გამოგზავნილი მისალოცი წერილები მორის რუას, ვიტოლდ ნოვაცკის, რენე ლაფონისა და სხვათა ავტორობით.

გადმოცემულია ახალი ამბავი- „თბილისის უნივერსიტეტის ორმოცდამეათე წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად სსრკ-ის კავშირგაბმულობის სამინისტრომ საიუბილეო საფოსტო მარკა გამოუშვა“ (გვ.4)- მოცემულია მარკის ფოტოც.

ივანე ბერიტაშვილი ულოცავს უნივერსიტეტს იუბილეს, ამბობს, რომ იგი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორ სწრაფად აშენდა უნივერსიტეტის ახალი, დიდებული კორპუსი, რომლის აგების ინიციატორიც მთავრობა იყო.

გიორგი ახვლედიანმა უნივერსიტეტის გახსნისა და სოციალისტური მშენებლობის დასაწყისის ქრონოლოგიური დამთხვევა ქართველი ხალხის ბედად მოიხსენია.

შალვა ნუცუბიძის „უქრობ შუქში“ აღინიშნა უმაღლესი რიტორიკული აკადემიის არსებობა ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში, ხოლო უნივერსიტეტი მეცნიერების უქრობი შუქის კვლავ ამნთებად მოიაზრება.

აკაკი შანიძე, აღწერს იმ გრანდიოზულ შენობასა და მისდამი დამოკიდებულებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით აშენდა უნივერსიტეტისთვის. ავტორმა საკუთარი გაოცებაც

გამოხატა იმის გამო, თუ როგორ განვითარდა ის უნივერსიტეტი, რომელიც, გახსნის პერიოდში, მხოლოდ სამად-სამი ოთახი იყო.

### **1978 წ.**

1978 წლის 11 ნოემბერს გაზეთი „კომუნისტი“ ეხმიანება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სამოცი წლისთავს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტთან დაკავშირებული ინფორმაცია მეორეხარისხოვნად არის წარმოდგენილი ამ ნომერში- გაზეთი უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებულ ინფორმაციას მხოლოდ მეხუთე გვერდზე აქვეყნებს. აქ წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, დავით ჩხიკვიშვილის, ასევე ევგენი ხარაძის, ნიკო კეცხოველისა და არნოლდ ჩიქობავას სტატიები.

ჩხიკვიშვილი სტატიის დასაწყისშივე რევოლუციას ხოტბას ასხამს და აღნიშნავს: „მრავლისმეტყველია და სიმბოლურია ის, რომ თბილისის უნივერსიტეტის იუბილეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავის დღესასწაულობისას ვზეიმობთ“ (გვ.5). ამბობს, რომ არ იქნებოდა თბილისის უნივერსიტეტი, რომ არ ყოფილიყო რუსული კულტურისა და მეცნიერების ისეთი უმსხვილესი ცენტრები, როგორებიც მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა რუსული უნივერსიტეტების ცენტრები იყვნენ. გაზეთში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ უნივერსიტეტი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში გრძნობდა და გრძნობს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მამობრივ ზრუნვასა და ყურადღებას. ამკარაა, რომ ეს გაზეთი პირდაპირ პროპაგანდას უწევს საბჭოთა პერიოდს. ნახსენებია ბრეჟნევის სტუმრობა უნივერსიტეტში და მისი ღვაწლი, თუ როგორ მისცა მისმა სტუმრობამ ბიძგი უნივერსიტეტის მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას.

საინტერესოა გაზეთის ის ნაწილიც, რომელშიც პირდაპირ ნახსენებია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება იყო: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი შეგნების გამომუშავებას“ (გვ.5). გაზეთში დანარჩენი ინფორმაცია უშუალოდ უკავშირდება უნივერსიტეტის ცალკეულ დარგებს, თუ როგორ განვითარდნენ ისინი და რამდენი სპეციალისტი მისცა უნივერსიტეტმა ქვეყანას. ევგენი ხარაძეც იმას ადასტურებს, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის აღმავლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, რომელმაც ააღორძინა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე სახელოვანი ტრადიციები.

გასათვალისწინებელია და აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში გაზეთი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სურათებს ნაკლებად ბეჭდავდა. თუ იყო პირველი კორპუსის სურათი ძალიან მცირე ზომის იყო, სამაგიეროდ საბჭოთა არქიტექტურისა და რეჟიმის სიმბოლოს, მაღლივ კორპუსსა და მის მიმდებარე ტერიტორიას გამოსახავდა. ამით ცდილობდნენ შეეცვალათ უნივერსიტეტის სიმბოლო- პირველი კორპუსი ახალი, საბჭოთა რეჟიმის მიერ აგებული მაღლივი კორპუსით.

### 1988 წ.

70 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. ეს წელი, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბოლო იუბილეა, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში აღინიშნა. გაზეთი „კომუნისტი“ 14 ოქტომბერს, დიდი ასოებით, თავშივე აღნიშნავს, რომ თბილისის უნივერსიტეტი 70 წლის გახდა და აქვეყნებს საბჭოთა პერიოდში აშენებული მაღლივი კორპუსის სურათს. ამ წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტექსტები ინფორმაციული სიმრავლით გამოირჩევა სხვა წლებთან შედარებით.

რექტორი ნოდარ ამალაშვილი თავის წერილში ამბობს, რომ უნივერსიტეტის იუბილე მათი დამაარსებლებისა და გამოჩენილი მოღვაწეების ხსენების დღეცაა, რადგან სწორედ მათი სახელები ესმის საზოგადოებას ყოველდღე. აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მძლავრი სამეცნიერო კვლევის ცენტრი გახდა და მას კავშირი აქვს უამრავ სხვა მაღალი დონის უნივერსიტეტთან. აღნიშნავს ბიბლიოთეკის განვითარებას, რომ მას გახსნის დღეს არც ერთი წიგნი არ გააჩნდა, ხოლო ახლა მისი ფონდი სამნახევარ მილიონს აღწევს. მას ახარებს უნივერსიტეტის ზრდა და განვითარება. აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მიზანი სრულყოფილი პიროვნებისა და სპეციალისტის ჩამოყალიბებაა და ამ მისიას უნივერსიტეტი პირნათლად ასრულებს, ამისთვის კი დიდ მადლობას უხდის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს.

ავლიპ ზურაბაშვილი თავის სტატიაში, ეხება ივანე ჯავახიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას. იგი აღნიშნავს, რომ უშუალო მომსწრე იყო უნივერსიტეტის გახსნის და საშუალება ჰქონდა, თავადვე ესწავლა ამ უნივერსიტეტში. ამბობს, რომ დიდი ინტერესით ესწრებოდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს. ხაზს უსვამს სტუდენტებისა და ლექტორების საუცხოო დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ და მომხრეა იმ აზრის, რომ უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭოს: „სრულიად მართებულია ჩვენი საზოგადოების სურვილი- უნივერსიტეტს მიენიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელი“ (გვ.2).

არჩილ ხარაძე საუბრობს საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის შემადგენლობაში 1918 წლის შემოდგომაზე ორგანიზაციულად გაფორმებული მათემატიკური განყოფილების პირველ ნაბიჯებზე.

გიორგი დობორჯგინიძე გამოქვეყნებულ სტატიაში ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ფიქრი უნივერსიტეტის გახსნაზე. აღნიშნავს, რომ დღეს უნივერსიტეტის სტუდენტები სულ უფრო აქტიურად, ნამდვილი მამულიშვილური გულმხურვალებით მონაწილეობენ საზოგადოებრიობისთვის მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, ასევე იმ ფაქტს, რომ სტუდენტების მოთხოვნა იყო უნივერსიტეტისთვის სრული ავტონომიის მინიჭება და, ამასთან ერთად, საჭიროდ თვლის, დროულად მიეხედოს ამ საკითხს, რადგან: „დღეს ცხოვრება სხვაგვარად აქვეყნებს საკითხებს, რომლებიც ადრე სრულიად ჩვეულებრივად მიგვაჩნდა“ (გვ.3).

შოთა აფაქიძე საუბრობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე, ბიბლიოთეკის განვითარებას საბჭოთა რეჟიმის დამყარებას უკავშირებს- „1921 წლიდან, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ზრდა-განვითარება ცალკეული პირების ინიციატივიდან სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად იქცა“ (გვ.3). ამბობს, რომ სწორედ ამ პერიოდის შემდეგ გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

### **1998 წ.**

1998 წელს, დამოუკიდებლობა აღდგენილ ქვეყანაში, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკა“ უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე მოკლე წერილით აღნიშნა- წერილის ავტორად მითითებულია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“. წერილში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის დაარსება თერგდალეულთა დიდი ოცნება იყო, ხოლო თვითონ უნივერსიტეტი იყო დავით აღმაშენებლის პერიოდში დაწყებული აკადემიური ტრადიციის გაგრძელება, რის გამოც სწორედ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა უნივერსიტეტი. წერილში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტი, მიუხედავად ჟამთა ცვალებადობისა, აცოცხლებდა ეროვნულ სულს- „ვუსურვებთ ჩვენს საამაყო უნივერსიტეტს, კვლავაც დიდხანს ეტარებინოს ხალხის მიერ შერქმეული „ცოდნის ტაძრის“ სახელი და პასუხისმგებლობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტისათვის ბოლომდე დახარჯული პიროვნების, ნათელი ხსოვნა ავალებს“ (გვ.2).

### **2008 წ.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან გასულია 90 წელი. იუბილესთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 თებერვლის ნომერში ქვეყნდება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სტატია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უწოდებს ტრადიციების, ევროპული განათლებისა და მეცნიერების აღმდგენ უნივერსიტეტს: „უმაღლესი განათლების ახალი კერის დაარსებით თითქოს აღდგა გაწყვეტილი ძაფი კლასიკურ ქართულ ელინისტურ განათლებას, თანამედროვე ქართულ ელინისტურ განათლებასა და მეცნიერებას შორის“ (გვ.2). აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს საქართველოში უმაღლესი განათლების კერის აღდგენას ემთხვევა. ამის გამო, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილს უწოდებს ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მედროშეს. ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორი წინააღმდეგობა შეხვდა უნივერსიტეტს, როდესაც 1988 წელს გადაწყვიტეს უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი ეტარებინა. ეს ყოველივე საბჭოთა კავშირის გავლენას უნდა მივაწეროთ. მხოლოდ დიდი ძალისხმევის შემდეგ მოხერხდა ამ მიზნის მიღწევა და უნივერსიტეტი გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის.

უნივერსიტეტი მოწოდებული იყო, გამოეყვანა ქართველი ხალხი საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი ერი თავისი მდიდარი კულტურული წარსულით, აწმყოთი და მომავლით. გამყრელიძეს სწამს, რომ ეს უნივერსიტეტი საყოველთაო ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის მძლავრ საშუალებად იქცევა, რაც ქართველ ხალხს საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს. 24-ე ნომერი მხოლოდ გამყრელიძის სტატიით ეხმიანება უნივერსიტეტის იუბილეს.

საინტერესოა 25-ე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ინტერპრესნიუსის სტატია. აქ აღნიშნულია ის ფაქტი, რომ სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქმა ქადაგებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლები, ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები მოიხსენია. სტატიაში ნახსენებია პატრიარქის სიტყვები: „რასაც ვერ იქმოდა ეკლესია, იმას აკეთებდა უნივერსიტეტი“ (გვ.2). უწმინდესის თქმით, უნივერსიტეტი იქნება ინტელექტუალური ზრდის კერა და ვერავინ ვერ შეძლებს ამ სასწავლებლისთვის ამ ფუნქციის დაკარგვას.

### **2018 წ.- თსუ 100**

უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავი გრანდიოზულად აღინიშნა- საქართველოს პარლამენტის ფასადს რამდენიმე თვე ამშვენებდა უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილი ბანერები, რომლებზეც გამოსახული იყო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ივანე ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის სხვა სიმბოლოები, ბანკებმა საკრედიტო ბარათების დიზაინი უნივერსიტეტის იუბილეს მიუძღვნეს, გაიმართა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტი“ 8 თებერვლის სრული, 24-გვერდიანი ნომერი უნივერსიტეტის იუბილეს მიუძღვნა. დაიბეჭდა მნიშვნელოვან ფიგურათა მისალოცი წერილები, ინტერვიუები და ის უცნობი ისტორიები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მხოლოდ ერთეულ პირებს ჰქონდათ.

გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მილოცვა. პატრიარქმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ საბჭოთა პერიოდში უნივერსიტეტი ეროვნული განადგურების წინააღმდეგ მებრძოლი ერთადერთი ინსტიტუცია იყო- „იგი იქცა როგორც მეცნიერულ კვლევათა გამორჩეულ ცენტრად, ასევე ცოდნის, სულიერების, ზნეობის მაგალითის მიმცემად მთელი ერისთვის. ეს იყო ამ პერიოდში ერთადერთი ადგილი, სადაც, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, ღვიოდა და ვითარდებოდა ეროვნული სულისკვეთება, აზროვნების ის წესი, რამაც საქართველო ღირსეულად გამოატარა დროის ქარცეცხლში“ (გვ.2). პატრიარქმა უნივერსიტეტისა და დედაეკლესიის მრავალწლიანი გვერდში დგომა აღნიშნა და პროფესორ-მასწავლებლებს საკუთარი როლის გააზრებისკენ მოუწოდა- „აქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა ვალდებულება არც დღეს არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოს ხვალისდელი დღე ამ სივრცეში აღზრდილ ახალგაზრდებზე კვლავაც დიდად იქნება დამოკიდებული“ (გვ.2).

დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მილოცვა, რომელშიც ხაზი გაესვა უნივერსიტეტის მნიშვნელობას მისი დაარსების პერიოდში- „სწორედ პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა შეასრულა განსაკუთრებული ფუნქცია, პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნიდან დღემდე, ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე არსებული უამრავი გამოწვევის გამკლავებისა და დაძლევის საქმეში, გააძლიერა ის პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც ხელახლა, 70 წლის შემდეგ, ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა“ (გვ.2).

გაზეთში გამოქვეყნდა როგორც პრემიერ-მინისტრისა და ქალაქ თბილისის მერის, ისე პარლამენტის თავმჯდომარისა და განათლების მინისტრის მისალოცი წერილები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის რექტორის წერილი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის გახსნა და მისი იუბილე არ ყოფილა ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა, რასაც მოწმობდა ის, რომ იუბილე იუნესკოს ეგიდით აღინიშნა. რექტორმა ხაზი გაუსვა იმ საჩუქრებს, რომლებიც უნივერსიტეტს გადმოეცა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით- „იგეგმება უნივერსიტეტის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია, უკვე გადმოგვეცა საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ლისზე“ (გვ.3), „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნივერსიტეტს გადმოსცა თბილისის პათანატომიის ცენტრი, სადაც ჩვენი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე, კონკურსი გამოაცხადა თსუ-ის საიუბილეო საფოსტო მარკის ესკიზზე, უახლოეს მომავალში გადაიჭრება მასშტაბური საერთო საცხოვრებლის აშენების საკითხი“ (გვ.3). რექტორმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის, რაც, მისი თქმით, მიუთითებდა, რომ უნივერსიტეტი განვითარდა და მაღალი დონის სწავლება ჩვეულებრივ, აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს.

გაზეთის შემდეგ ნაწილში გადმოცემულია უნივერსიტეტის გახსნის ისტორია, ასევე მისი განვითარების მოკლე მიმოხილვა, რასაც არ აქვს საახალამბებო ღირებულება.

აღწერილია უნივერსიტეტის მიღწევები, რასაც ამყარებს სტატისტიკური ინფორმაცია. ცალკე გვერდი მიეძღვნა უნივერსიტეტის გამოჩენილ კურსდამთავრებულებს, ასევე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს.

მოხსენიების ღირსია იენის უნივერსიტეტის რექტორის მილოცვა- „ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი ამაცობს, რომ უკვე 50 წელზე მეტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორია“ (გვ.19).

აღნიშვნის გრანდიოზულობის დასტურად, გაზეთში მოცემულია ინფორმაცია მერაბ კოკოჩაშვილის იდეის შესახებ- „ასი“- ასე ქვია ფილმს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს ეძღვნება“ (გვ.23).

საბოლოო ნაწილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა.

## დასკვნა

- გაზეთები სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის არსებობა-განვითარებას არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს უკავშირებდნენ- დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დამფუძნებელთა კავშირი ხელისუფლებასთან, გაზეთებს აძლევდა საშუალებას, ეთქვათ, რომ სოციალისტური მისწრაფებები, შეზავებული ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებასთან, განაპირობებდა უნივერსიტეტის განვითარებას. საბჭოთა პერიოდში, უნივერსიტეტის არსებობის ხელშემწყობი, ისევე, როგორც იუბილეთა აღსანიშნავი

ღონისძიებებისათვის მნიშვნელობის მიმცემი, საბჭოთა ხელისუფლება იყო. დამოუკიდებლობა აღდგენილ ქვეყანაში კი უნივერსიტეტის განვითარება, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული დიდი ღონისძიებები, იმ პოლიტიკურ რეჟიმსა და პოლიტიკოსებს უკავშირდება, რომლებმაც ხელისუფლებაში მოსვლით შეცვალეს ქვეყნის პოლიტიკური კლიმატი.

- გაზეთებში, უნივერსიტეტის მიზნები დაკავშირებულია პოლიტიკური სისტემის განმტკიცებასთან- პირველ რესპუბლიკაში სოციალიზმისა და პატრიოტიზმის გაღვივება, საბჭოთა პერიოდში კომუნისტური იდეების შესწავლა, პოლიტიკური სისტემისთვის საჭირო მოხელეების გამოზრდა, ეკონომიკის აყვავებისთვის საჭირო მოქალაქეების აღზრდა და ლენინიზმის გააზრება, 1991 წელს აღდგენილ რესპუბლიკაში კი დემოკრატიული ღირებულებების გაზიარება და პროევროპული აზროვნება ის გაცხადებული მიზნებია, რომლებსაც უნივერსიტეტმა უნდა მიაღწიოს, რაც, საბოლოოდ, რეჟიმის კონსოლიდაციის საწინდარია.
- კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა უნივერსიტეტის სიმბოლოების შეცვლას- იბეჭდებოდა მაღლივი კორპუსისა და მის მიმდებარედ არსებული ნაგებობების ფოტოები, მცირდებოდა პირველი კორპუსის, უნივერსიტეტის სიმბოლოს, სურათთა მასშტაბი და ზომები, რაც მიზნად ისახავდა, გაექრო საბჭოთა კავშირის შექმნამდე უნივერსიტეტის არსებული წარსული და სრულად გადაეცვია საბჭოთა რეჟიმის პირმშოდ.
- გაზეთები, საბჭოთა ეპოქაში, არ წარმოაჩენდნენ უნივერსიტეტის იუბილის პარალელურად მიმდინარე სამოქალაქო უკმაყოფილებას, რაც არსებობდა, მაგალითად, 1928 წელს (იძულებითი კოლექტივიზაციის მძიმე შემკვიდრეობა), 1938 წელს (წითელი ტერორის უარყოფითი შედეგები), 1978 წელს (კონსტიტუციური ცვლილებების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო კამპანია) და 1988 წელს (საბჭოთა რეჟიმის კრიზისი).
- უნივერსიტეტის იუბილე უფრო პრიორიტეტული იყო საბჭოთა რეჟიმისთვის, ვიდრე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის (1918-1921 და 1991-დღემდე). ფაქტია, რომ უნივერსიტეტის იუბილე დემოკრატიული რესპუბლიკის დიდმა გაზეთებმა შემდეგ წლებში არ აღნიშნეს, 1928 წელს ემიგრირებული მთავრობის გამოცემაში „თეთრი გიორგი“ საბჭოთა რეჟიმის გასალანძლად გამოიყენა უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღი. 1991 წლიდან კი უნივერსიტეტის იუბილე გრანდიოზულად მხოლოდ 2018 წელს აღინიშნა.

## ბიბლიოგრაფია:

ადეიშვილი, თ. (2018). ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება (გვ. 280–289). ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ : 2018, 8 თებერვალი, გვერდი 1-24.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1928, 25 თებერვალი, გვერდი 3-4.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1938, 30 მაისი, გვერდი 1-4.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1958. 18 თებერვალი, გვერდი 2-3.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1968, 20 ოქტომბერი, გვერდი 1, 3-4.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1978, 11 ნოემბერი. გვერდი 1, 5-6.

გაზეთი „კომუნისტი“ : 1988, 3 ივნისი, გვერდი 1-4.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ : 1998, 8 თებერვალი, გვერდი 1-2.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ : 2008, 8 თებერვალი, გვერდი 2.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ : 2008, 9 თებერვალი, გვერდი 2.

გაზეთი „სახალხო საქმე“: 1918, (26) 8 თებერვალი, გვერდი 1-2.

მაცაბერიძე, მ. (2024). ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მეტრეველი, რ. (1996). ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სართანია, დ. (2010). ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავალისათვის. თბილისი: ჩაბიჩაძე და კომპანია.



ქართული კონსტიტუციონალიზმის ევოლუცია: ისტორიული საფუძვლები,  
ინსტიტუციური განვითარება და თანამედროვე გამოწვევები

მარიამ არაბაშვილი

მარდია დუიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [Mariam.arabashvili916@sps.tsu.edu.ge](mailto:Mariam.arabashvili916@sps.tsu.edu.ge)

Email: [duishvilimardia@gmail.com](mailto:duishvilimardia@gmail.com)

## აბსტრაქტი

ქართული კონსტიტუციონალიზმი წარმოადგენს რთულ და მრავალფეროვან პროცესს. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი 1921 წლის კონსტიტუცია, ერთ-ერთ პროგრესულ დოკუმენტს წარმოადგენდა რეგიონში, რომელიც ფოკუსირდებოდა დემოკრატიული მმართველობის კონსოლიდირებაზე საქართველოში და შესაბამისობაში მოდიოდა ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის თეორიასთან. 1995 წელს საკონსტიტუციო კომისიის სხდომის შემდეგ, ყალიბდება კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს სუვერენულ სამართლებრივ სტატუსს გამოხატავდა. ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც კონსტიტუციის უზენაესობის გარანტი უნდა ყოფილიყო. სოციალური და ეკონომიკური თავისუფლება კვლავ დემოკრატიული სახელმწიფოს ნაწილად რჩებოდა. (ლეონიძე, 2021) საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ვექტორის განსაზღვრა და მისი ევოლუციურობის ან რეგრესის შეფასება საქართველოს უზენაესი „კანონის გონის“ სიღრმისეულ ანალიზს ითვალისწინებს, დროისა და კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად კვლევა მიზნად ისახავს, საქართველოს კონსტიტუციის ისტორიული წარმომავლობისა და ძირითადი ეტაპების მოკვლევასა და გაანალიზებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს კონსტიტუციის ხშირმა ცვლილებებმა ხელი შეუშალა კონსოლიდირებული დემოკრატიის ჩამოყალიბებას. საკონსტიტუციო ჩარჩოში სტაბილურობის ნაკლებობამ დაასუსტა დემოკრატიული ინსტიტუტები, დაარღვია ძალთა ბალანსი და შეარყია საზოგადოების ნდობა მმართველობის მიმართ. აღნიშნული სტატიის სამეცნიერო წვლილი მდგომარეობს ქართული კონსტიტუციონალიზმის ყოვლისმომცველ ანალიზში, რომელიც გვთავაზობს ისტორიულ-თანამედროვე პერსპექტივას. დასკვნები იძლევა ღირებულ შეხედულებებს საკონსტიტუციო რეფორმატორებისთვის, პოლიტიკური ლიდერებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ უფრო ძლიერ დემოკრატიულ გარანტიებს. ეს კვლევა არა მხოლოდ ხელს უწყობს აკადემიურ დისკუსიის გააქტიურებას კონსტიტუციური სამართლისა და პოლიტიკური თეორიის შესახებ, არამედ საფუძველს უქმნის მომავალ კვლევებს, რაც მის კიდევ ერთ ღირებულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**საკვანძო სიტყვები:** კონსტიტუციონალიზმი, საკონსტიტუციო ცვლილებები, დემოკრატიზაცია, პირველი რესპუბლიკა, კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზაცია.

## შესავალი

1921 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპებზე იყო დაფუძნებული, ქართული კონსტიტუციონალიზმის საფუძვლად იქცა. ის უზრუნველყოფდა კანონის უზენაესობის პრინციპსა და ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებელ მოთხოვნილებას. მიუხედავად მისი პროგრესული ხასიათისა, მისი პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა,

რადგან იმავე წელს საბჭოთა ოკუპაციამ საქართველოს დამოუკიდებლობა შეაჩერა. საბჭოთა მმართველობის დროს (1921–1991) კონსტიტუციონალიზმი ფორმალურად არსებობდა, მაგრამ რეალურად ხელისუფლება ცენტრალიზებული და ავტორიტარული იყო. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1936 და 1978 წლების საბჭოთა კონსტიტუციების ფარგლებში ფუნქციონირებდა, რაც ქვეყნის ავტონომიას ზღუდავდა. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გარდამავალი პერიოდი პოლიტიკურ არასტაბილურობასა და საკონსტიტუციო სისტემის ძიებას უკავშირდებოდა. 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ ჩარჩოს. მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური სტაბილურობა გამოწვევად დარჩა, რასაც განაპირობებდა პოლიტიკურ ძალაუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად მიმდინარე კონფლიქტები და საკონსტიტუციო ცვლილებების ხშირი პროცესი.

პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო და კონსტიტუციურ სტრუქტურებზე ძლიერი გავლენა იქონია დასავლეთ ევროპის მმართველობის მოდელებმა, განსაკუთრებით საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო სისტემებმა (Demetrashvili, 2020) 1921 წელს საქართველომ მიიღო პირველი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა საპარლამენტო დემოკრატიას მრავალპარტიული სისტემით. კონსტიტუცია მიზნად ისახავდა ძალაუფლების დაბალანსებას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

ამავდროულად, პარლამენტი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ეროვნული ასამბლეა, ფლობდა უმაღლეს უფლებამოსილებას, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც არჩეული იყო ასამბლეის მიერ, ითვისებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას, რადგან იმ დროის პოლიტიკური მოღვაწეები და კონსტიტუციის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ვერ იქნებოდა ახალ ჩამოყალიბებულ რესპუბლიკაში წარმატებული და ის შეიცავდა ძალაუფლების დისბალანსის პირდაპირ საფრთხეებს. (Nakashidze, Semi-Presidentialism in the Caucasus and Central Asia, 2016) საქართველოს კონსტიტუციური ჩარჩოს წინაშე მდგარი ინსტიტუციური და სტრუქტურული გამოწვევების იდენტიფიცირება. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ასევე ხაზგასმული იყო ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის სიტყვის, შეკრებისა და რელიგიის თავისუფლება. გარდა იმისა, რომ იდეები ეპოქისთვის პროგრესულია, ამასთანავე, კონსტიტუციონალიზმის ევოლუციაში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმწიფოებრივ დონეზე დაცვა და აღიარება. სამართლის ერთგულებასა და კანონის უზენაესობას სახელმწიფოებრივი სტრუქტურის განუყოფელ ნაწილად აქცევს, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა კონსოლიდირებული დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად. საბჭოთა მმართველობის დროს საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, ხოლო კონსტიტუციონალიზმი, როგორც კონცეფცია, დღის წესრიგის ნაწილს აღარ წარმოადგენდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იმართებოდა საბჭოთა სოციალიზმის პრინციპებით, ხოლო დე ფაქტო მმართველი დოკუმენტი იყო 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზღუდავდა საქართველოს მსგავსი რესპუბლიკების ავტონომიას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია თითქოს აღიარებდა სამოქალაქო უფლებებს,

პრაქტიკაში ეს უფლებები მკაცრად იყო შეზღუდული საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალიზებული და ავტორიტარული ბუნებით.

1995 წელს კი დამოუკიდებელმა საქართველომ, 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად ღირებულებებზე დაყრდნობით, მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუციის მთავარ ასპექტებს ეყრდნობოდა, მაინც განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისგან, რაც თავისთავად განპირობებული იყო პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტის ცვლილებით. შესაბამისად, კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილს სწორედ 1921 წლისა და 1995 წლის კონსტიტუციათა სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს, რისთვისაც გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. კვლევის პროცესში შესწავლილია როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები, ხოლო შერჩევის მეთოდი მიზნობრივია. გაანალიზებული იქნა აკადემიური ნაშრომები, რომლებიც კვლევის მიზანთან თანხვედრაში მოდის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული კონსტიტუციონალიზმის ევოლუციის გაანალიზება, კერძოდ ისტორიული საფუძვლების, ინსტიტუციური განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების განხილვა. მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის წარმომავლობისა და ძირითადი ეტაპების მოკვლევა.
2. 1921 და 1995 წლების კონსტიტუციების მნიშვნელობის ანალიზი.
3. პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლასა და საკონსტიტუციო ცვლილებებს შორის კავშირის შესწავლა.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. რომელმა ისტორიულმა მოვლენებმა მოახდინა ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ქართულ კონსტიტუციონალიზმზე?
2. როგორ ჩამოაყალიბა კონსტიტუციურმა დოკუმენტებმა დემოკრატიული მმართველობა საქართველოში?
3. რა გავლენა მოახდინა პოლიტიკურმა ტრანზიციამ კონსტიტუციურ სტაბილურობაზე?

## თეორიული ჩარჩო

ნაშრომისათვის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის თეორია. ამ თეორიის მთავარი თეორეტიკოსები არიან ჯონ ლოკი, შარლ ლუი მონტესკიე და ჟან ჟაკ რუსო.

ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის თეორიული ჩარჩო ემყარება კონსტიტუციის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული მმართველობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

აღნიშნული თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კონსტიტუციონალიზმის ევოლუციის ანალიზისთვის, რადგან საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პროცესში არაერთხელ შეიცვალა ხელისუფლების ინსტიტუციური მოდელი, სამართლებრივი ჩარჩო და უფლებრივი ბალანსი. 1921 წლის კონსტიტუცია ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით იყო გაჯერებული, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა, ხოლო 1995 წლის კონსტიტუცია თანამედროვე ქართული კონსტიტუციონალიზმის საფუძვლად იქცა, რომელიც ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპების განმტკიცებას ცდილობს, მიუხედავად გამოწვევებისა, როგორცაა ინსტიტუციური სტაბილურობა და პოლიტიკური გავლენები კონსტიტუციურ წესრიგზე.

კვლევის თეორიულ ჩარჩოში ასევე ორი მნიშვნელოვანი, ურთიერთგამომრიცხავი, თუმცა ურთიერთდაკავშირებული თეორიის დაპირისპირება იქნება წარმოდგენილი, რომლითაც იდეალურად აიხსნება საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ძირითადი მახასიათებლების საფუძველი და მისი საბოლოო მოქმედების ლოგიკა. კერძოდ, ის წარმოადგენს „ცოცხალი ორიგინალიზმის“ თუ „ცოცხალი კონსტიტუციის“ თეორიის ტიპს.

ორიგინალიზმი გულისხმობს, რომ კონსტიტუციის ინტერპრეტაცია არ სცდება მის თავდაპირველ შინაარსსა და მიზანს. თანამედროვე ისტორიული კონტექსტით განპირობებული ცვლილებებიც მხოლოდ სამართლის ისტორიულ საფუძველზე დგას და ხასიათდება მხოლოდ დამაზუსტებელი შესწორებით, რომელიც ძირითადად კანონის ინტერპრეტირების შანსს ამცირებს. ასეთი ტიპის კონსტიტუციას ინდოეთის კონსტიტუცია წარმოადგენს.

ხოლო ცოცხალი კონსტიტუციის თეორია არ გამორიცხავს საზოგადოების დინამიურობიდან გამომდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებს. თეორიის მიხედვით, კონსტიტუციური ნორმები არ უნდა რჩებოდეს სტატუს კვოს ჩარჩოში, არამედ რეალური სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. ფაქტობრივად, ამ ორ თეორიულ ჭრილში საკონსტიტუციო ცვლილებების ანალიზი მოსალოდნელია, რომ საქართველოში პარტიული ოპორტუნიზმით განპირობებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს გამოავლენს. (Ali, 2024)

## ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის განვითარების პროცესი, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რთული და მრავალმხრივი დინამიკით ვითარდებოდა, რომელიც მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესაბამის ლიტერატურად ავიღეთ, რამდენიმე ძირითადი ნაშრომი, რომელიც უკვამირდება

საქართველოს კონსტიტუციური სისტემის ევოლუციასა და მისი ძირითადი ტენდენციის შესახებ მსჯელობას, დაწყებული პირველი რესპუბლიკის და 1921 წლის კონსტიტუციის პერიოდიდან და დამთავრებული თანამედროვე კონსტიტუციური რეფორმებით. დავიწყოთ ავთანდილ დემეტრაშვილის ნაშრომით „Chronicles of Constitutionalism in Georgia“, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს პირველ რესპუბლიკაზე (1918-1921), როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღო. დემეტრაშვილი აღნიშნავს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის (DEMETRASHVILI, 2010). ის ასევე განიხილავს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ევოლუციას საბჭოთა პერიოდში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური და საკონსტიტუციო მემკვიდრეობა შეზღუდული იყო, და 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა პერიოდისაგან.

მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა 2018 წელს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის გამყარებას ისახავდნენ მიზნად. ამ რეფორმების შემდეგ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვალო დანიშვნა დაიწყო, რაც წინარე პრაქტიკისაგან განსხვავდებოდა. თუმცა, მალხაზ ნაკაშიძე (2020) თავის ანალიზში აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ ცვლილებებისა, პროცესი კვლავ წარიმართება პოლიტიკური პარტიების გავლენის ფონზე (Nakashidze, 2020). თავის მხრივ, ხელისუფლების მიერ მოსამართლეების დანიშვნის საკითხი დიდი განხეთქილების საგანი გახდა და გამოიწვია პროტესტი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომელიც მოითხოვდა სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და ძალაუფლების ურთიერთდაბალანსირების აუცილებლობას (Demetrashvili, 2020). 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები ძირითადად მიმართული იყო პოლიტიკური სისტემის განმტკიცებისაკენ. ნაკაშიძე (2020) ყურადღებას ამახვილებს ისეთ სამართლებრივ გამოწვევებზე, რომლებიც დღესდღეობით სასამართლოს წინაშე დგას, მათ შორის როგორცაა გამოხატვის თავისუფლებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხები. ასევე ნაკაშიძე ასკვნის, რომ წარმატებული კონსტიტუციური განვითარება საჭიროებს საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, რათა მან შეძლოს გადალახოს ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოწვევები (Nakashidze, 2016).

შესაბამისად, როგორც დემეტრაშვილი, ისე ნაკაშიძეც აღნიშნავს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი ლეგიტიმურობა, და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის გამყარება კვლავ რჩება საქართველოს კონსტიტუციური სისტემის განვითარების უმთავრეს საკითხებად. ნაკაშიძე (2020) წერს, რომ სასამართლოს რეფორმების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რათა ამ პროცესმა მოიტანოს რეალური ცვლილებები. ის ასევე ხაზს უსვამს, რომ სასამართლო სისტემაში არსებული ძველი ხარვეზები საჭიროებს დროულ და საფუძვლიან გადახედვას. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციური განვითარების შესახებ არსებული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ კონსტიტუციური სისტემის

ფორმირება ყოველთვის რთული პროცესი იყო და განიცდიდა როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი ცვლილებების ზეგავლენას.

## 1921 წლის კონსტიტუციისა და 1995 წლის კონსტიტუციის შედარებითი ანალიზი

1918 წლიდან დაიწყო მონარქიული წყობილებიდან რესპუბლიკურზე გადასვლის პროცესი, რაც თავისთავად დამოუკიდებლობის დეკლარაციაში და პირველ კონსტიტუციაშიც აისახა. 1921 წელს საქართველოს ისტორიაში პირველად განისაზღვრა მართვა-გამგეობის ფორმა, სახელმწიფოს რესპუბლიკური ფორმა და ფუნქციების დემოკრატიული პრინციპებით გადანაწილება (საქართველოს კონსტიტუცია, 1921). დამოუკიდებლობის აქტში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს მიერ ადამიანზე ზრუნვის ვალდებულებას. დამოუკიდებლობის აქტი კონსტიტუციის მაგივრობას ვერ გაწევდა, მაგრამ ის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო კონსტიტუციის შემუშავებისას. მმართველობის ეფექტური ფორმის ძიება საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიის ცენტრალური საკითხი იყო. ფაქტობრივად, 1921-1995 წლის კონსტიტუციები სარკვე ქართველი ერის აზროვნების ორი ეპოქისა და ასევე იდეოლოგიური ევოლუციისა. 1921 წლის კონსტიტუცია პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაოდ, როგორც ღია სივრცეში, ისე შენობაში მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე (მუხლი 33) (საქართველოს კონსტიტუცია, 1921). თუმცა, თუ კრებას მიეცემოდა დანაშაულებრივი ხასიათი ადმინისტრაციას მისი „დახურვის“ უფლება ჰქონდა, ბუნებრივია, პრობლემა თავად ტერმინი „დანაშაულებრივი ხასიათი“ რომელიც ინტერპრეტაციის სივრცეს ტოვებს. შემდგომში 1995 წლის კონსტიტუცია მკაფიოდ განსაზღვრავს „შეკრების უფლების მქონე მოქალაქის“ ტერმინს, რომელშიც არ მოიაზრებიან ძალოვანი სტრუქტურები, ასევე უკვე აუცილებელი ხდება ხელისუფლების წინასწარ გაფრთხილება, თუ შეკრება საზოგადოებრივი მოძრაობისათვის „მნიშვნელოვანი“ სივრცის გამოყოფას მოითხოვს (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). ხელისუფლებას შეკრების შეწყვეტის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ეს მნიშვნელოვანი პროგრესია 1921 წელთან შედარებით, რადგან აქ უკვე მკაფიოდ განსაზღვრულია ხელისუფლების ჩარევის ლეგიტიმური ფარგლები.

საქართველოს პირველი კონსტიტუციის ავტორები მოითხოვდნენ ხაზი გაესვათ, რომ საქართველო რესპუბლიკური წყობილების სახელმწიფო იყო და მონარქიას უპირისპირდებოდნენ მათ სურდათ სახელმწიფო სადაც ხელისუფლება ეკუთვნის ხალხის მიერ არჩეულ უმრავლესობას. ეროვნული-დემოკრატიებიდან გ. გვაზავა აღნიშნავდა, რომ იქ სადაც მონარქიული წყობა შენარჩუნებული იყო იწყებოდა რევოლუცია და „ინგრეოდა ტახტი“, სახელმწიფო კი ხალხის ხელში გადადიოდა (Jikia, 2022). შესაბამისად, 1921 წლის კონსტიტუცია, კატეგორიულად კრძალავს მთავრობის ფორმის ცვლილებას, რაც პოლიტიკური იდენტობის დაცვის მექანიზმია. 1995 წლის კონსტიტუცია კი მეტი პრაგმატულობით მოქმედებს და საგანგებო მდგომარეობის პირობებში ცვლილებას ითვალისწინებს (Jikia, 2022). 1921 წლის კონსტიტუცია ბევრად ორიენტირებულია მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობაზე, ცენტრალიზაცია კი 1995 წლის კონსტიტუციაში წინა პლანზეა, პრეზიდენტს ცვლილებების ინიცირების უფლებამოსილება აქვს. ამასთან, 1995 წლის

კონსტიტუცია ცდილობს, შექმნას სამართლებრივი ბალანსი თავისუფლებასა და სახელმწიფო სტაბილურობას შორის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმებს, უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია შექმნილია ახალგაზრდა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის, რომელიც დემოკრატიული მოდელის კონსოლიდაციას ცდილობს. 1995 წლის კონსტიტუცია კი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, გარდამავალ ეტაპზე, სტაბილური საკონსტიტუციო სისტემის ჩამოყალიბებას განიზრახავს, ამიტომ 1995 წლის კონსტიტუცია უფრო რთულ ბარიერს აწესებს, საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის. 1921 წელს საკონსტიტუციო ცვლილებაში მოქალაქეთა ჩართულობა დაბალი ზღვარით იყო შესაძლებელი, რაც, ბუნებრივია, საზოგადოებრივ დონეზე, დემოკრატიული ჩართულობის ეფექტიანობასაც ზრდიდა.

რაც შეეხება აზრის გამოხატვის თავისუფლებას 1921 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლი მოქალაქეებს აძლევს სრულ უფლებას თავიანთი აზრი გამოხატონ ნებისმიერი ფორმით (სიტყვით, ბეჭდვით, ან სხვა საშუალებით) მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე. თუმცა, აქვე ხაზგასმულია, რომ ასეთი გამოხატვის შედეგად ჩადენილი დანაშაულისთვის მოქალაქე პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე. 1995 წლის კონსტიტუციაში აზრის გამოხატვის თავისუფლება კვლავაც ფუნდამენტურია, თუმცა აქ უკვე დასაბუთებულია, რომელ პირობებში შეიძლება მისი შეზღუდვა. 1921 წლის კონსტიტუცია მოქალაქეებს აძლევს უფლებას, დააარსონ პროფკავშირები და სხვა გაერთიანებები მთავრობის ნებართვის გარეშე, თუ მათი მიზანი კანონით არ არის აკრძალული. (საქართველოს კონსტიტუცია, 1921) ამავე მუხლის მიხედვით, კავშირის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც ერთგვარ დაცვის გარანტიას წარმოადგენს სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან. 1995 წლის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეს შეუძლია როგორც პროფესიულ ასევე პოლიტიკურ კავშირში გაერთიანდეს, მაგრამ აკრძალულია ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციურ წყობილებას დაამხობს ან ომის პროპაგანდას ახდენს.

ორი კონსტიტუციის იდეოლოგიური ხასიათი რომ შევავსოთ ეკონომიკურ განზომილებაში, შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის კონსტიტუცია სოციალ-დემოკრატიული პრინციპების მატარებელია და ორიენტირდება მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. რესპუბლიკის მიზნად განსაზღვრულია „მოქალაქის ღირსეულ არსებობაზე ზრუნვა“ (მუხლი 113). მუხლი სოციალური სახელმწიფოს მოდელზეა აგებული, რაც სახელმწიფოს გამიზნულ ვალდებულებას გულისმობს დაიცვას და უზრუნველყოს მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობა. 1995 წლის კონსტიტუცია ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელით არის შექმნილი, სადაც პიროვნული უფლებები და საბაზრო ეკონომიკა როგორც ღირებულებები წინა პლანზეა. კერძოდ, თუ 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლი საკუთრების უფლებას იცავს, იგი სახელმწიფოებრივი ან კულტურული საჭიროებებიდან გამომდინარე ითავლისწინებს საკუთრების ჩამორთმევის უფლებასაც, ხოლო 1995 წლის კონსტიტუციით საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, „კანონით განსაზღვრულ“ შემთხვევებში, რაც 1921 წლის კონსტიტუციაში არ ფიქსირდებოდა, ასევე ვხვდებით მხოლოდ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან“ გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის პუნქტსაც. 1995 წლის კონსტიტუციაში ბევრად მკაფიოაა

სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების უზრუნველყოფა. 1995 წლის კონსტიტუციაში დამატებულია ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების დაცვა, რაც 1921 წლის დოკუმენტში არ იყო გაწერილი. კონსტიტუციაში ჩანდა სურვილი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეების სოციალური დაცვა უზრუნველყო, თუმცა, მიზნის კონსტრუირება „უტოპიურად“ არ უნდა მომხდარიყო, აქედან გამომდინარე, კამათი წარმოიქმნა ჩანაწერში მიზნის შემდეგნაირად ფორმულირებაზე-„რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის“ კრიტიკის საგანი „ღირსეულად არსებობის“ აბსტრაქციული იდეა იყო. დადიანის შეფასებით, არაკონკრეტულობა წარმოქმნიდა საშიშროებას სახელმწიფოს მხრიდან რეალური ვალდებულებების არ აღიარება მომხდარიყო. კონსტიტუციაში დაფიქსირებული მუხლი, რომელიც უმუშევრად დარჩენის შემთვევაში დაზღვევის გადაცემას შეეხებოდა, რომელიც „საცხოვრებლის მინიმუმს“ უნდა უტოლდებოდეს, ასევე კრიტიკის საგანი გახდა. მ. რუსიამ მიუთითა, რომ „უზრუნველყოფა საცხოვრებელი მინიმუმისა არის პირველი პერიოდი სოციალიზმის გამოცხადებისა“ (Jikia, 2022). იგი ზოგიერთი მუხლის ამოღებასაც მოითხოვდა, მაგრამ მაღალი მხარდაჭერიდან გამომდინარე განისაზღვრა, რომ უმუშევრად დარჩენილი პირის უზრუნველყოფა სამუშაოს აღმოჩენით და დაზღვევით მოხდებოდა. 1921 წლის კონსტიტუციის ღირებულებები თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ღირებულებებთანაც, რაც მის პროგრესულ ხასიათზე მიუთითებს. ფაქტობრივად, კონსტიტუციონალიზმი საქართველოში არ ყოფილა მხოლოდ ფორმალური ხასიათის, მიზანი ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება იყო კონსოლიდირებული სახელმწიფოს მოსაწყობად.

### **ხშირი საკონსტიტუციო ცვლილებები ისტორიის ევოლუციის კვალდაკვალ**

ხშირი საკონსტიტუციო ცვლილებები დემოკრატიის კონსოლიდირებული მოდელის ჩამოყალიბებას და მოქალაქეთა კანონმორჩილების ხარისხს ამცირებს. მოქალაქის ცნობიერებაში კონსტიტუცია არასტაბილური და ხელისუფლებაზე მორგებული ხდება, რაც ნდობას ამცირებს, ვინაიდან ფაქტობრივად საფუძველმდებარე პრინციპები არაა სტაბილური. (Ali, 2024) ეს არგუმენტები განმტკიცებულია ე.წ „ცოცხალი კონსტიტუციის“ თეორიით, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის ცვლილებები საზოგადოების დინამიურობასთანაა თანხვედრაში და მხოლოდ განმარტებით და პრეცედენტულ ცვლილებებს უკავშირდება, თუმცა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა გამოირჩეოდა ცვლილებებით, რომელიც არა საზოგადოებრივ დინამიურობასთან, არამედ სახელისუფლებო თარგზე იყო მოჭრილი, მას საფუძვლად არ ედო სოციალური თანხმობა, რაც კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს. მისი ფაქტების სინთეზური ანალიზით დასაბუთება კი ნაშრომში სიღრმისეულადაა წარმოდგენილი, კერძოდ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს კონსტიტუცია 2004 წელს დრამატულად შეიცვალა, ცვლილებებს თან ახლდა მის შინაარსთან და მიზნებთან ასოცირებული კრიტიკა. (Muskhelishvili, 2005) ხელისუფლების ცენტრალიზაცია ავტორიტარულ სახეს იძენდა. რეფორმით გაძლიერდა საპრეზიდენტო სისტემა და მისი ზეგავლენა ადმინისტრაციულ ორგანოზე, მის ავტონომიაში უკვე შედიოდა პრემიერ-

მინისტრის დანიშვნა და მთავრობის აქტების ჩაგდების უფლება, ფაქტობრივად დემოკრატიის ზედამხედველობის მექანიზმების ეროზირება მოხდა.

1995 წლის კონსტიტუციის ცვლილებები დაფუძნებული იყო კომპრომისზე, თუმცა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ძალაუფლების განაწილება ვერ გაირკვა და შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი არ შემოიღეს. 2004 წლის რეფორმის შედეგად შემოღებულმა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტმა მხოლოდ დამატებითად გაძლიერებული საპრეზიდენტო სისტემა ჩამოაყალიბა. ფრანგული მოდელისაგან განსხვავებით ის ნახევრადსაპრეზიდენტო „კოჰაბიტაციურ“ მოდელთან თანხვედრაში არ მოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმატორები „ფრანგულ მოდელზე“ ხშირად აკეთებდნენ აქცენტს. პრეზიდენტს მიეცა უფლებამოსილება, დაეკავებინა პარტიული ოფისები, ხოლო მისი უფლებები პარლამენტთან შედარებით ფაქტობრივად ძალაუფლებრივ ასიმეტრიას ქმნიდა. პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტები პრიორიტეტი იყო, ხოლო პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების ვეტოთი ჩაგდების უფლებამოსილება მხოლოდ ზრდიდა ერთი პირის ზეგავლენას ორგანოში. ვეტოს მოქმედების პროცედურები მკაცრად იყო განსაზღვრული, თუმცა რეალური აღსრულება შეუფერხებელ სახეს ატარებდა. (Matcharadze & Javakhishvili, 2023) შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის ცვლილებები 1921 წლის ეპოქის ინტერესებს უგულვებელყოფდა, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად, რათა სამოქალაქო მონაწილეობითი კულტურა ჩამოყალიბებულიყო. კონსოლიდირებული დემოკრატია, რომელიც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნიშნებს შეითავსებს, პირველ რიგში წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის ლეგიტიმურობის განმტკიცებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, თუმცა უახლესი ცვლილებებით პრეზიდენტს პარლამენტის დაშლისა და მთავრობის გადაყენების ლეგიტიმურობას ანიჭებდა, რაც საქართველოს პერსონიფიცირებულ პარტიულ განწყობილებებს ამძაფრებდა, რაც თანამედროვე საქართველოში „ქარიზმული ლიდერების“ მიმართ ლოიალურობაში ტრანსფორმირდა, როცა რეალურად პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოში მიზანი კონკურენტული და პლურალისტური პარლამენტის ჩამოყალიბება უნდა ყოფილიყო, ნაკლები ცენტრალიზირებითა და მეტი დეცენტრალიზირების შესაძლებლობით. კონსტიტუციურ ცვლილებებს ხალხის მხარდაჭერა არ ჰქონდა, ამის ფონზე ცვლილებები უფრო პოლიტიკური სტაგნაციის მომტანი იყო, ვიდრე პროგრესის. ხოლო „ვარდების რევოლუციის“ ახალგაზრდა რეფორმატორებმა მომავალშიც იდენტური შეცდომები დაუშვეს, ქართული ისტორია არა სპირალურად არამედ წრიული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორიაა.

2010 წლის 15 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ხელისუფლების უფლებები გადანაწილდა პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ. (Nakashidze, 2016) ოფიციალურად, ამ ცვლილებების მიზანი იყო საქართველოს ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის დემოკრატიზაცია, თუმცა ოპოზიციური პარტიები მიიჩნევდნენ, რომ ცვლილებები მიზნად ისახავდა მიხეილ სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე 2013 წლის შემდეგ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან გამომდინარე. (Nakashidze, Semi-Presidentialism in the Caucasus and Central Asia, 2016) რეფორმების შემდეგ, პრეზიდენტი კვლავ არის

ქვეყნის სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი, მაგრამ აღარ ახორციელებს ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკას, რაც მანამდე მის ძირითად ავტონომიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ოპოზიციური ნარატივი ბუნებრივია ვალიდური იყო, აღნიშნულ ცვლილებასაც არ ჰქონია საზოგადოებრივი მხარდაჭერა. (Khetsuriani, 2017) ფაქტობრივად კონსტიტუციის ევოლუციის ყოველ ეტაპზე სახელისუფლებო გადაწყვეტილება სახალხო ნებას არ გამოხატავდა, ბუნებრივია ეს მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას აფერხებდა, თუმცა ამლიერებდა „საპროტესტო დემოკრატიის“ ჩამოყალიბებას. მოქალაქეები ნაკლები ნდობით ამიტომ ხასიათდებიან სასამართლო ინსტიტუტების მიმართ და მხოლოდ პროტესტის ფორმას მიიჩნევენ ცვლილებების მაპროვოცირებელ ძალად, რასაც სამთავრობო პარტიების მოქმედებები მხოლოდ ასაზრდოებს.

მნიშვნელოვანი ცვლილება იყო პრემიერ-მინისტრის დანიშვნის პროცესი, რომელიც ადრე პრეზიდენტის მიერ ხორციელდებოდა. პრეზიდენტი უკვე ვალდებული გახდა, პარლამენტის უმრავლესობის მიერ წამოყენებული კანდიდატურა დაამტკიცოს. ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული აღარ იქნებოდა. ფაქტობრივად ოპოზიციის ვარაუდები მართლდება, სააკაშვილი ემზადება სუპერ-საპრემიერო მმართველობისათვის (Nakashidze, 2016). ამ ცვლილებების შემდეგ, საქართველო გადავიდა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაზე, სადაც პრემიერ-მინისტრი იღებს ძირითად პასუხისმგებლობას მთავრობის საქმიანობის მიმართულების საკითხებში. ამის შედეგად, პრეზიდენტის ჩარევა მთავრობაში და მთავრობის შეხვედრებში შეზღუდულია, რაც პრეზიდენტის პრაქტიკული ძალაუფლების კიდევ უფრო შემცირებას და ცერემონიული სახის ფუნქციების დატოვებას გამოიწვევდა. მიხეილ სააკაშვილის, ასეთ თავისუფალ ქმედებებს მნიშვნელოვნად უზიბდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამ, რამაც რადიკალურად შეცვალა ხელისუფლების ბალანსი საქართველოში. ჟვანია გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა იყო, მის უეცარ გარდაცვალებას კი ფაქტობრივი ვარაუდით აუცილებლად მოჰყვებოდა მეორეხარისხოვანი გავლენის მქონე ფიგურის დანიშვნა. ასეც მოხდა, სააკაშვილის მიერ დანიშნა და პრემიერ-მინისტრი გახდა ტექნოკრატის სტატუსის მქონე ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ამ პერიოდში არ ფლობდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას და პრაქტიკულად ყველაფერი დამოკიდებული იყო პრეზიდენტზე. (ანთაძე, 2009) 2007 წლის ნოემბერში, სანამ პრეზიდენტი გადადგებოდა, სააკაშვილმა დაითხოვა პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი და მის ნაცვლად ლადო გურგენიძე დანიშნა, რომელსაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა. სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მთავრობისთვის ახალი ენერჯისა და უკეთესი ეკონომიკური პირობების შექმნას დაუკავშირა, მაგრამ რეალურად სავარაუდოა, რომ ნოღაიდელის გადაყენება და გურგენიძის (რომელსაც პოლიტიკაში კავშირები არ ჰქონდა) დანიშვნა, სავარაუდოდ, სააკაშვილისთვის უფრო მოსახერხებელი ნაბიჯი იყო, რათა თავისი გუნდი გაეძლიერებინა და ნოღაიდელისა და ბურჯანაძის მომხრეებს მთავრობაში გავლენა არ ჰქონოდათ.

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ვერ ვითარდება, რადგან ისტორიულად თითოეული მმართველი პარტია ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს და ამ მიზნისათვის ოპოზიციის სრულ ლიკვიდაციას ისახავს მიზნად. (Muskhelishvili, 2005) ახალ მინისტრთა დანიშვნა ძირითადად ფორმალური ხასიათის იყო, ხოლო სააკაშვილმა საბოლოოდ შექმნა საპრეზიდენტო კაბინეტი,

სადაც არ შედიოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები, მაგრამ პიროვნებები, რომლებიც იზიარებდნენ პრეზიდენტის პოლიტიკურ ხედვებს, ფაქტია დემოკრატიის ორბიტისაგან განსხვავებით ავტორიტარული მმართველობის ორბიტაზე აღმოვჩნდით, ამიტომ სრულიად ვალიდურია შეფასება, რომ საქართველო ბოლო დრომდე „ჰიბრიდულ რეჟიმს“ წარმოადგენდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეფასებისათვის საკმარის არგუმენტებს მოიცავს. ერთი მხრივ, არჩევნები ასახავდა პოლიტიკურ გარემოს, სადაც მმართველი ძალა მაქსიმალურად იყენებდა ინსტიტუციურ რესურსებს ძალაუფლების გასამყარებლად, ხოლო მეორე მხრივ, წარმოაჩენდა ოპოზიციის დაუძღვრებას. პროპორციულსა და მაჟორიტარულ სისტემებს შორის ბალანსის შეცვლა მმართველი პარტიის მხრიდან საარჩევნო სისტემის მმართველი პარტიის სასარგებლოდ მანიპულაცია იყო. როცა 1921 წლიდან ორიენტირი პლურალისტური პარლამენტის შენებაზე იყო. მანამდე არსებული სისტემა მეტწილად პროპორციულ წარმომადგენლობას ემყარებოდა, რაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალისთვის მეტ შესაძლებლობებს ქმნიდა. თუმცა, ცვლილებების შედეგად, 77 დეპუტატი პროპორციული სისტემით უნდა არჩეულიყო, ხოლო დარჩენილი 73 – მაჟორიტარული წესით. მანამდე, დეპუტატთა ორი მესამედი პროპორციული წესით აირჩეოდა. პროპორციული წარმომადგენლობისთვის საჭირო საარჩევნო ბარიერი 7%-დან 5%-მდე შემცირდა, ხოლო მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებისთვის აუცილებელი გახდა ამომრჩეველთა მინიმუმ 30%-ის მხარდაჭერა. (Nakashidze, 2016) იმის ფონზე, რომ საქართველოში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, მისი არაკანონიერობის მიუხედავად „ბუნებრივ“ მოვლენას წარმოადგენს, ლოგიკური იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დამატებით პრივილეგიას იძენდა, ხოლო ხელისუფლების გადანაწილების მიზანს, რაზეც შეთანხმება „ვარდების რევოლუციას“ უძღოდა უგულვებელყო. მმართველმა პარტიამ არა მხოლოდ შეძლო პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობისკენაც გადადგა ნაბიჯი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ სააკაშვილის შეთანხმების ჩაშლა პირდაპირ აისახა მმართველი გუნდის შემადგენლობაზე. ბურჯანაძის გუნდის არყოფნა „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში ნიშნავს, რომ პარტიის შიგნით პოლიტიკური ძალთა გადანაწილება ხდებოდა არა იდეების ან პროგრამული ხედვების, არამედ პირადი ლოიალობისა და ინტერესთა გათვალისწინებით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2008 წლის არჩევნები უფრო მეტად იყო პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი, ვიდრე დემოკრატიული ლეგიტიმაციის გამოვლინება. ოპოზიციისთვის გამოწვევას წარმოადგენდა ისიც, რომ პოლიტიკური გარემო უკვე მძიმე იყო 2007 წლის ნოემბრის მოვლენებისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ. ამ ფონზე, ოპოზიციური პარტიების ეფექტიანობა, როგორც საპარლამენტო ასპარეზზე, ისე ქუჩაში, მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო. საბოლოოდ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გაამყარა საქართველოში არსებული პოლიტიკური ასიმეტრია, სადაც მმართველი ძალა დომინანტურ პოზიციას იკავებდა, ხოლო ოპოზიცია, ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობის პირობებში, მარცხისთვის განწირული ჩანდა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტმა რეალური ძალაუფლება მოიპოვა, რაც მანამდე ძირითადად პრეზიდენტის ხელში იყო კონცენტრირებული. განსაკუთრებით მწვავე

დაპირისპირება გაჩნდა ამნისტიის კანონთან დაკავშირებით. „ნაციონალური მოძრაობა“ ამას ეწინააღმდეგებოდა, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ პოლიტპატიმრებად გამოცხადებული პირები მძიმე დანაშაულებში იყვნენ ბრალდებულნი, მათ შორის რუსეთისთვის ჯაშუშობაში. სააკაშვილმა დაადო ვეტო ამ კანონპროექტს, თუმცა პარლამენტმა ის მაინც დაამტკიცა. (Gegenava, 2022) ეს იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმისა, რომ „ქართული ოცნების“ კოალიცია ერთიანად მოქმედებდა და პრეზიდენტი ვეღარ შეძლებდა მათთვის ხელის შეშლას, ქვეყანა სადაც საპრეზიდენტო სისტემა ვითარდებოდა პირველად ისტორიაში იქნა დათრგუნული, ზოგადად კი ისტორიაში 2012 წელი ფრანგული კოჭაბიტაციის პოლიტიკის ექსპერიმენტალური მოდელი იყო, თუმცა ვერცერთმა ძალამ თანამშრომლობას ვერ მიაღწია, ვინაიდან ქართული პარტიული პოლიტიკური კულტურა და შიდა პარტიული დემოკრატია განუვითარებელია.

კონფლიქტი არ შემოიფარგლა მხოლოდ შიდა საკითხებით. საგარეო პოლიტიკაშიც მძაფრი დაპირისპირება წარმოიშვა. „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ მთავრობას ადანაშაულებდა რუსეთის მიმართ ნეიტრალური ან თუნდაც შემწყნარებლური პოზიციის დაკავებაში. საპასუხოდ, მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის 30 იანვარს განაცხადა, რომ კონსტიტუციაში უნდა შესულიყო ცვლილება, რომელიც საქართველოს პრო-დასავლურ კურსს გაამყარებდა. თუმცა, ეს ცვლილება რეალობად ვერ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური ორიენტაცია კვლავ რჩებოდა მთავარ მიმართულებად, კოალიციაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მთავრობასა და პრეზიდენტს შორის კონფლიქტი შეეხო უშიშროების სამსახურსაც. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტის უშიშროების სამსახური მთავრობის კონტროლის ქვეშ გადაეყვანა, რაზეც სააკაშვილმა პროტესტი გამოთქვა და საბოლოოდ უარი თქვა მის გამოყენებაზე. ამრიგად, 2012-2013 წლებში საქართველოს მმართველობაში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი დადგა. კონსტიტუციის ცვლილება, რომლის ძალითაც 2013 წლის შემდეგ ძალაუფლება პრემიერ-მინისტრზე უნდა გადასულიყო, ქმნიდა პოლიტიკურ სპეკულაციას იმაზე, რომ სააკაშვილი "პუტინის მოდელის" მსგავსად, პრემიერად დაბრუნებას გეგმავდა. ფაქტია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მუდამ ოპორტუნისტულ მიზანს ემსახურებოდა, რომლის დასაძლევადაც მიღებული მეთოდი „პლურალური ვოტუმის მოდელის“ გამოყენებაა, პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილება ძალაში მხოლოდ მაშინ შევა, თუ მას მომდევნო მოწვევის პარლამენტი დაამტკიცებს. აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობს კონსტიტუციის დაცვას დროებითი პოლიტიკური გავლენებისგან, რაც ქართულ პოლიტიკურ სისტემას ნამდვილად შესძენდა კონსტიტუციას, რომელიც „დროს გაუძლებდა“.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციური სისტემა შეიცვალა და შექმნილი იყო ახალი ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა. (Nakashidze, Semi-Presidentialism in the Caucasus and Central Asia, 2016) ისტორიულად 1995 წლის კონსტიტუციის გამიზნული ვარაუდი გამართლდა, რწმენა, რომ პრეზიდენტი ზეპარტიული შინაარსის უნდა ყოფილიყო, რომელიც დაუპირისპირდებოდა მმართველი პარტიის ნებას გამართლდა. მარგველაშვილმა პირველად ვეტო 2014 წელს გამოიყენა, რასაც მმართველი პარტიის მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰყვა. სერიოზული დაპირისპირებები გაჩნდა საგარეო პოლიტიკის საკითხზე, როდესაც მარგველაშვილმა დააანონსა,

რომ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას თავად მოაწერდა ხელს, თუმცა მთავრობამ განაცხადა, რომ ეს პრემიერს ეკუთვნოდა. საბოლოოდ, პრემიერმა მოაწერა ხელი. დაპირისპირება გაგრძელდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საკითხზეც, რადგან პრეზიდენტი ოფიციალურად ხელმძღვანელობდა ამ საბჭოს, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს მისი უფლებამოსილების შეზღუდვა. იგივე ვითარება შეიქმნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის საკითხშიც.

2014 წლის ნოემბერში საქართველოს "ქართული ოცნების" კოალიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ნოემბრის პირველ კვირაში "თავისუფალმა დემოკრატებმა", რომელიც "ქართული ოცნების" ერთ-ერთი წევრი პარტია იყო, ე.წ. „კაბელების საქმესთან“ დაკავშირებული პროცესებიდან გამომდინარე დატოვა მთავრობა. (ტაბულა, 2015) ამ კონტექსტში, პრეზიდენტის როლი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. სწორედ ამ პერიოდში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პირველად გამოიყენა ვეტო. 2016 წლისათვის მმართველი პარტია კრიზისში იყო შესული, ამიტომ ერთი მხრივ დადებითად შეფასებული საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელეს 2017 წლისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ ზოგადად ქვეყნის ხელისუფლების ფუნქციონირებაზე. ამ ცვლილებით გარკვეულწილად კიდევ უფრო გამიჯნული გახდა სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, ყოველშემთხვევაში აღნიშნული 2017 წლისათვის დადებითად იქნა შეფასებული.

თუმცა საარჩევნო სისტემასთან და პარტიულ სპექტრთან დაკავშირებით განხორციელდა ცვლილებები, რომელსაც საკმარისი სკეპტიციზმით არ დაეთმო ყურადღება, მაგალითად საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, პოლიტიკურ პარტიებზე კონსტიტუციური კონტროლის საკითხი შეიცვალა. საკონსტიტუციო რეფორმამდე, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა როგორც პარტიების შექმნას, ისე მათი საქმიანობის კონსტიტუციურობას. თუმცა, რეფორმის შემდეგ, მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობას მიენიჭა ყურადღება, ხოლო პარტიების შექმნის საკითხი სასამართლო კომპეტენციის მიღმა აღმოჩნდა. (ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი, 2017) კონსტიტუციაში კი ამ დროს განსაზღვრულია ის გარემოებები, როცა პარტიის შექმნის აკრძალვა დაშვებული იყო, მაგალითად კონსტიტუციით აკრძალულია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით, ახალი ცვლილებით კი თუ პარტია ტერიტორიული ნიშნითაა შექმნილი მაგრამ მისი საქმიანობა კონსტიტუციის პრინციპს არ ეწინააღმდეგება, საკონსტიტუციო სასამართლო მის აკრძალვას ვერ შეძლებს. აღნიშნული რეფორმა დადებითად იქნა შეფასებული, ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის კონტექსტში, მაგრამ „რეალ პოლიტიკაში“ მმართველი პარტიების მხრიდან ე.წ. „სატელიტი პარტიების“ ჩამოყალიბება ქართული ისტორიის განუყოფელი ნაწილიც იყო, მათ შორის შევარდნაძის თუ სააკაშვილის მმართველობის პირობებში. თანამედროვე საქართველოს პარტიულ სპექტრში კი ულტრამემარჯვენე ძალთა გააქტიურება და შემდეგ მათი ნარატივების ანალიზი ფაქტობრივად ცხადყოფს, რატომ დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ რეფორმა, რომელიც მომავალში „სატელიტი პარტიების“ ჩამოყალიბების პროცესს გაამარტივებდა.

რეფორმამ, რომელმაც 2024 წლიდან სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა დაამტკიცა და ამასთან საარჩევნო ბლოკების შექმნა აიკრძალა, (Kublashvili, 2017) კიდევ უფრო მიუთითებს ხელისუფლების მზადყოფნას, რომ ოპოზიცია დათრგუნოს, თუმცა ამ დროისათვის „ქართული ოცნების“ მხრიდან აღნიშნული ქმედებების ვალიდაცია წინა ხელისუფლების მხრიდან იდენტური სტრატეგიის გამოყენებით აიხსნებოდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ქართული პოლიტიკური სისტემა და პარტიული სტრუქტურა მზად არასოდეს ყოფილა გერმანული თუ აშშ-ს პოლიტიკურ სისტემებთან ადაპტირებისათვის, რაც რეალურ მიზანს წარმოადგენდა. 5%-იანი საარჩევნო ბარიერი, რომელიც პირდაპირ ზღუდავს ოპოზიციურ პარტიებს, პროტესტის მიუხედავად უცვლელად იქნა დარჩენილი. რაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა დინამიურ პარტიული სპექტრის ფორმირებას. (Nakashidze, 2019 global review of constitutional law: Georgia, 2020) თუმცა 2017 წლის რეფორმის დაანონსების პარალელურად „ქართული ოცნება“ არც მალავდა, რომ მიზანი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება იყო, ოპონენტების „არაკონსტიტუციურად გამოცხადების“ მიზნიდან გამომდინარე. აღნიშნული რეფორმა ხდება ერთპარტიული დომინაციის ჩამოყალიბების წინაპირობა, ოპოზიციური ძალების შეზღუდვის ფონზე, რეფორმა ფაქტობრივად არ პასუხობდა საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ გამოწვევებს. უახლესი ინიციატივით უკვე პრეზიდენტის არჩევა საარჩევნო კოლეგიის მიერ ირიბი არჩევნების გზით ხდებოდა, პრეზიდენტის უფლებამოსილება კი ობიექტურად „ცერემონიული“ ხდებოდა, თუმცა საქართველოს ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ცხადია, რომ თანამედროვე საქართველოს რეალობაში პრეზიდენტი და წინააღმდეგობა მმართველი პარტიის მიმართ ბევრად მოდიოდა სახალხო ინტერესებთან თანხვედრაში, ვიდრე პარტიული მოქმედებები. პრეზიდენტს ჩამოერთვა მთავრობის სხდომაზე საკითხის დაყენების ან განხილვის უფლებაც და ფაქტობრივად ერთი პარტიის დომინაციამ სახელისუფლებო ორგანოებში შექმნა სისტემა, რომელმაც პატრონ-კლიენტური ტანდემი ჩამოაყალიბა ნაცვლად პოლიტიკური სისტემისა, რომელსაც ლეგიტიმურობას მოქალაქე მიანიჭებდა. კონსტიტუციის ევოლუცია 1921 წლის კონსტიტუციის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, თუმცა იქცა ანტიპოდად.

### **ხშირი ცვლილებების საფრთხე ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის**

ქართულ კონსტიტუციაში მუდმივი ცვლილებები საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. კონსტიტუციაში ცვლილებები, რომლებიც ხშირად განპირობებულია მოკლევადიანი პოლიტიკური ინტერესებით, ძირს უთხრის კონსტიტუციონალიზმს, ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საზოგადოების ნდობას სასამართლო-პოლიტიკური სისტემის მიმართ (Ali, 2024). კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ბაზა, მიზნად ისახავს სტაბილურობის უზრუნველყოფას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. თუმცა, საქართველოში მუდმივი კონსტიტუციური ცვლილებები არღვევს ამ სტაბილურობას და აფერხებს დემოკრატიის კონსოლიდაციას.

ცენტრალური ევროპიდან უნგრეთთან პარალელის გავლება მეტად საინტერესოა, ვინაიდან მმართველი პარტია იდენტურად იყენებს კონსტიტუციას მხოლოდ ბერკეტად. მაგალითად,

ვიქტორ ორბანის მხრიდან უნგრეთში განხორციელებული მეოთხე ცვლილებით, მთავრობას მიეცა უფლება ცალმხრივად გაეუქმებინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ბუნებრივია, ყოველგვარი საზოგადოებრივი თანხმობის გარეშე. როგორც საქართველოს შემთხვევაში გამოვლინდა ოპოზიციის მარგინალიზებისათვის კონსტიტუციის ცვლილება, კანონს ორბანიც იყენებს ოპოზიციის შესაზღუდად. მაგალითად, პოლიტიკური რეკლამების განთავსება მხოლოდ სახელისუფლებო მედიაშია დასაშვები, რაც, ბუნებრივია, ოპოზიციას ზღუდავს. მოსამართლეების გადასაყენებლად კი საპენსიო ასაკი შეამცირა ორბანმა. ეს ყველაფერი, განსაკუთრებით ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობაში, სახელისუფლებო ორგანოთა დელეგიტიმიზაციას ახდენს (Donath, 2021).

უკვე მიმოხილული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, დღესდღეობით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესის პოლიტიზაციაა. პოლიტიკური ელიტები იყენებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად, ოპონენტების მარგინალიზაციისთვის ან საარჩევნო პროცესებზე ზემოქმედების მიზნით, რაც 2017 წლის რედაქციაში ხისტად გამოვლინდა. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული ცვლილებები შემზღუდველ ფუნქციას ასრულებდა ოპოზიციური პარტიებისთვის და ამცირებდა მათი მოქმედების არეალს 5%-იანი ბარიერის ფონზე.

## დასკვნა

საბოლოო შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია ხშირი ცვლილებებით ხასიათდებოდა, რომელიც „ცოცხალი კონსტიტუციის“ კონცეფციასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. მეორე მხრივ კი არც „ცოცხალი ორიგინალიზმის“ კონცეფციასთან, ვინაიდან ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში საკონსტიტუციო ცვლილებები უკვე ატარებდა ოპორტუნისტულ მიზანს. ინსტიტუციური განვითარების მაგივრად, მიზანი ცალკეული პიროვნების ხელში ძალაუფლების კონცენტრირება იყო. 2004 წლისათვის „უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი“ უნდა გამხდარიყო მექანიზმი, რომლითაც პარლამენტი მთავრობის კონტროლს მოახერხებდა, თუმცა რეალურად მექანიზმი უფუნქციო აღმოჩნდა. ამან კი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის დისბალანსი წარმოქმნა. 2017 წლის რედაქციით ცხადია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საარჩევნო ზედამხედველობის ზოგიერთი ფუნქცია შეეზღუდა. ჩვენი დასკვნით, ცვლილება სწორედ „სატელიტი პარტიების“ ჩამოყალიბების პროცესის გამარტივებას ისახავდა მიზნად. 2012–2013 წლები ექსპერიმენტული „კოჰაბიტაციის პოლიტიკის“ მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური კულტურის თავისებურებები გამოამჟღავნა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციონალიზმი რეგრესული ხასიათის იყო 1921 წლის კონსტიტუციის ფონზე, რომელიც თითოეული მოქალაქისთვის სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, სადაც სამართლის ტრადიციას კონსოლიდირებული დემოკრატია უნდა ჩამოეყალიბებინა. 1995 წლის კონსტიტუციასთან შედარებით, ის მეტად მოქნილი იყო საკონსტიტუციო გადასინჯვის ასპექტებში. თუმცა, 1995 წლის კონსტიტუცია მეტ ცენტრალიზაციასაც ისახავდა მიზნად. მეორე მხრივ, ის აუცილებელ საკონსტიტუციო სტაბილურობას უზრუნველყოფდა, ამიტომ კონსტიტუციის გადასინჯვა მეტად რთული იყო. საპრეზიდენტოდან სუპერ-საპრემიერომდე ტრანსფორმაცია კი „ქარიზმული ლიდერის“ ძალაუფლების შენარჩუნებით იყო განპირობებული, როცა რეალურად პოსტ-საბჭოთა სივრცეში აუცილებელია პლურალისტური პარლამენტი, რომელსაც მაღალი ლეგიტიმურობა ექნება საზოგადოების მხრიდან.

## ბიბლიოგრაფია

- Matcharadze, Z., & Javakhishvili, P. (2023). Normative Regulation of the President's Veto in Georgian Legal Reality. *Journal of Law (TSU)*.
- Ali, M. I. (2024). *Unpacking Living Originalism and Living Constitutionalism in the Constitutional Contexts of India and Pakistan*. Lahore Leads University.
- DEMETRASHVILI, A. (2010). *CHRONICLES OF CONSTITUTIONALISM IN GEORGIA*.
- Demetrashvili, A. (2020). *paradigms of constitutionalism in georgia*. tbilisi: Iv. Javakhishvili Tbilisi State University.
- Donath, A. J. (2021). Absolutely Corrupted: The Rise of an Illiberal System and the Future of Hungarian Democracy. *Brown Journal of World Affairs*.
- Gegenava, D. (2022). *25 YEARS IN THE SEARCH OF LEGITIMACY*.. Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie.
- Jikia, L. (2022). REVIEW OF THE DRAFT CONSTITUTION 1978 OF GEORGIA IN. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორია*.
- Khetsuriani, J. (2017). CONSTITUTIONAL REFORM IN GEORGIA (2017) AND THE CONSTITUTIONAL COURT. *Journal of Constitutional Law*.
- Kublashvili, K. (2017). SHORTCOMINGS AND CHALLENGES OF THE NEW.
- Muskhelishvili, M. (2005). Constitutional Changes in Georgia.
- Nakashidze, M. (2016). *Semi-Presidentialism in the Caucasus and Central Asia*. tbilisi.
- Nakashidze, M. (2020). *2019 global review of constitutional law: Georgia*. Oxford University Press and New York University School of Law.
- Uridia, K. (2023). ქართული პარლამენტარიზმის ევოლუციის გზა ისნის კარვიდან თანამედროვეობამდე.
- ანთაძე, ი. (2009). ვინ გახდება მორიგი პრემიერ-მინისტრი? *რადიო თავისუფლება*.
- თაყაიშვილი, ე. (1920). ხელმწიფის კარის გარიგება.
- ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი. (2017). *საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით შემოთავაზებული სიახლეების შეფასება*.
- კველიანი, გ. (2013). საბჭოთა ოკუპაცია საქართველოს მეხსიერებაში.

ლეონიძე, ხ. (2021). *საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილე: იდეა, განვითარება და სულისკვეთება*. თბილისი.

ნებიერიძე, ნ. (2001). 1832 წლის შეთქმულება და მისი გამოძახილი.

საქართველოს კონსტიტუცია . (1995).

საქართველოს კონსტიტუცია. (1921).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. (2022). *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი*. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ტაბულა. (2015). ალასანია კაბელების საქმეზე: საიდუმლო გრიფის დადებით აბსურდამდე მიდიან უკვე.

ქარაია, თ., დუნდუა, ს., აბაშიძე, ზ., ბუროუსი, გ., & მუხიგული, ქ. (2017). *დემოკრატია და მოქალაქეობა*. თბილისი: საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი.

ქოქრაშვილი, ხ. (n.d.). რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო.



უშვილობა, როგორც არჩევანი, ქართველ ქალებში

ელენე მიქელთაძე

სოციოლოგიის მიმართულების კურსდამთავრებული  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: [emikeltadze1@gmail.com](mailto:emikeltadze1@gmail.com)

## აბსტრაქტი

დედობა სოციალურად (რე)კონსტრუირებული იდეაა, რომელიც ყალიბდება სოციოპოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტებში. თანამედროვეობაში დედობა მოიაზრებს ბავშვზე სრულად ორიენტირებას, ემოციურ ჩართულობას, საკუთარი საჭიროებების უკანა პლანზე გადაწევისასა და თუ საქართველოს მაგალითზე ვიმსჯელებთ, ხშირად „მარტოხელა“ მშობლობასაც.

არსებობს რწმენა, რომ დედობა ყველა ქალის მოწოდება და ვალდებულებაა, თუმცა ზოგიერთი ქალი ირჩევს, რომ არ ჰყავდეს შვილი და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება არსებულ მოლოდინებს, რის შედეგადაც ხშირად მათი გარიყვა და სტიგმატიზაცია ხდება. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავდა ნებაყოფლობით უშვილო ქალების საზოგადოებაში ადაპტაციის თავისებურებების შესწავლას ქართულ რეალობაში. კვლევის ფარგლებში 12 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ნებაყოფლობით უშვილო ქალებთან და 4 ექსპერტული ინტერვიუ, რომელიც, თავის მხრივ, კვლევაში გამოვლენილი ტენდენციების შეფასებას ემსახურებოდა.

კვლევის შედეგად განისაზღვრა ნებაყოფლობითი უშვილობის მოტივები, რომლებიც არჩევანთან ერთად გარემოებების ნაზავი აღმოჩნდა. გარდა ამისა, გამოიკვეთა ნებაყოფლობითი უშვილობის გავლენა რესპონდენტთა სოციალურ ცხოვრებაზე, ქართული საზოგადოებისადმი მათ მიკუთვნებულობის განცდაზე. ამასთან, კვლევის ფარგლებში დასახელდა ნებაყოფლობით უშვილობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებიც, მათი წყაროები და ამ სტერეოტიპებთან გამკლავების სტრატეგიები, როგორებიცაა ნორმალიზება, თავის არიდება/დისტანცირება, იუმორის ჩართვა და „ფაბრიკაცია“. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დედობა არაა ყველა ქალის მოწოდება და დედობრივ ინსტინქტებზე, როგორც აუცილებელზე, ვერ ვისაუბრებთ, რამდენადაც შვილის გაჩენასა ან მშობლობაზე უარის თქმა პრაგმატული გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც ხშირად სხვა ალტერნატივებთან სოციალური, ემოციური და ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების შედარების შედეგად მიიღება. ამასთან, კვლევა ადასტურებს, რომ მიუხედავად ნებაყოფლობითი უშვილობის შედარებით ახალი და მზარდი ტენდენციისა, ნებაყოფლობით უშვილო ქალები მარგინალიზებული ჯგუფია, რომელიც ცხოვრების ყველა ასპექტში გარკვეული ხარისხით განიცდის ზეწოლასა და სტიგმატიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ნებაყოფლობითი უშვილობა, პრონატალიზმი, სტიგმა, სტიგმასთან გამკლავების სტრატეგიები

## შესავალი

მშობლობა ხშირად განიხილება, როგორც ნაბიჯი „ზრდასრული“ ცხოვრებისკენ. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მშობლობა ოჯახის შექმნის ლოგიკურ „დასასრულად“ და სრულფასოვანი ცხოვრების კულტივაციის საშუალებად წარმოდგინდება. ამდენად, მშობლად გახდომის გადაწყვეტილება „ნატურალურად“ და „ნორმალურად“ მოიაზრება (Veevers, 1975; Dykstra PA & Hagestad, 2007).

თანამედროვეობაში, თავისუფალი არჩევანის ზრდის პირობებში, პრიორიტეტების ცვლილებასთან ერთად, ქალისა და კაცის როლების ახლებურად დანახვა ხდება, რასაც დედობისა და მამობის სოციალური როლის ტრანსფორმაციაც მოსდევს. ეს კი შესაძლოა ითქვას, გამოხატულია ბოლო რამდენიმე ათწლეულში გამოვლენილი უშვილობის მზარდი ტენდენციითაც. არსებული მონაცემებით, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში დაახლოებით 18-50 წლის ასაკის ადამიანების 15%-25% უშვილოა. ამასთან, უშვილობა 40-44 წლის ქალებში დაახლოებით 11-15%-ს შეადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც (Miettinen, Rotkirch, Szalma, Donno & Tanturri, 2015). აქვე, საქსტატის მონაცემებსაც თუ მოვიშველიებთ, შევნიშნავთ, რომ საქართველოში გასულ წლებთან შედარებით შობადობის მაჩვენებელი 2023 წლის მონაცემებით ყველაზე დაბალია.

როგორც დასაწყისში ვახსენე, მშობლობა განიხილება, როგორც ნორმატიული და სასურველი (Ashburn-Nardo, 2017). ამასთან, შვილების გაჩენა ხშირად სოციალურ და მორალურ ვალდებულებად გვევლინება, რომლის დაუმორჩილებლობაც შესაძლოა „დევიაციად“ მიიჩნიონ. შესაბამისად, „უშვილოდ დარჩენის“ გადაწყვეტილება ინდივიდებს, განსაკუთრებით კი ქალებს, იმ სოციოკულტურული მოლოდინების მიღმა ტოვებს, რომელსაც „პრონატალიზმი“ უდევს საფუძვლად (Park, 2005), რაც, თავის მხრივ, სოციოპოლიტიკური, ოჯახური და რელიგიური ვალდებულებების გაძლიერების გზით შობადობის ზრდას ემსახურება (Rowlands & Lee, 2006). ამრიგად, „პრონატალიზმი“ ნიშნავს, რომ ქალები, რომლებიც შვილის გაჩენაზე ამბობენ უარს, აღიქმებიან, როგორც ქალის „ბუნებრივი“ როლის მოწინააღმდეგე და პრონატალურ საზოგადოებაში ფემინური იდენტობის ფუნდამენტური არსის უარყოფელი (Gillespie, 2000). ამ შემთხვევაში დასახელებული ქალების იდენტიფიცირებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი „ნებაყოფლობით უშვილო“, რაც ითვალისწინებს აქტიურ, ერთგულ და მუდმივ/პერმანენტულ არჩევანს, უარი განაცხადო მშობლად გახდომაზე (Houseknecht, 1987; Park, 2002), რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს ფერტილური ასაკის მქონე ქალებს, რომლებიც უარს აცხადებენ შვილის ყოლაზე, ფერტილური ასაკის მქონე ქალებს, რომლებმაც აირჩიეს სტერილიზაცია ან არაფერტილური ასაკის მქონე ქალებს, რომლებიც ფერტილურები იყვნენ, მაგრამ გადაწყვიტეს, შვილი არ ჰყოლოდათ.

აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობით უშვილო ქალები მრავალი გამოწვევის წინაშე დგებიან სოციალური თუ ცხოვრებისეული გამოცდილების თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ ფსიქოლოგიასა და მედიცინას ძლიერი გავლენა ჰქონდა დედობის, როგორც ქალურობის

ცენტრალური მახასიათებლის პოპულარიზაციასა და „უშვილო“ ქალების, როგორც დეფექტის, „ნაკლოვანის“ მქონეს სტატუსის გამყარებაზე (Lee & Gramotnev, 2006; Park, 2002). გარდა ამისა, პოლიტიკა საზოგადოებისა და რელიგიის გარკვეული ზეგავლენით, ტრადიციული ნუკლეარული ოჯახის ადვოკატირებას ეწევა თავისივე შესაბამისი გენდერული როლებით. რაც შეეხება რელიგიას, რომელიც დასავლურ კულტურას უდევს საფუძვლად, ხსენებული ქალს ჰეტეროსექსუალ, ნაყოფიერ, სიცოცხლის მომნიჭებელ არსებად განიხილავს (Gillespie, 2000). ამდენად, ნებაყოფლობით უშვილო ქალები, რომლებიც ქალის ამ დადგენილ როლს „ვერ ასრულებენ“, სტიგმატიზაციის მსხვერპლნი ხდებიან და ხშირად აღიქმებიან, როგორც ეგოისტები, სოციალურად არასასურველნი, ინდივიდუალისტურები, უპასუხისმგებლონი, მატერიალისტები, ნაკლებ მომწიფებულნი და ნაკლებ მზრუნველნი (Park, 2002, Carey, 2009). ამრიგად, მოცემული სურათის მიხედვით, ქალი იმდენადაა სრულფასოვანი, რამდენადაც მას აქვს დედობის პოტენციალი და მისი აქტუალიზაციის, განხორციელების შესაძლებლობა/მზაობა. ქალის სხეულის რეპროდუქციული უნარი გაგებულია, როგორც ონტოლოგიური ფუნდამენტი და განმსაზღვრელი მახასიათებელი კატეგორია „ქალისა“, იგი კონსტრუირებულია იმად, რაც მას განასხვავებს კატეგორია „კაცისგან“ (Malson & Swann, 2003; Shildrick and Price, 1999). თავად დედობამ კი, როგორც პოლიტიკურმა, სოციალურმა, კულტურულმა, ისტორიულმა ურთიერთობამ და ნორმატიულმა კონსტრუქციამ, „ბიოლოგიზირებული“ სახე შეიძინა და დედობრივ ინსტინქტებამდე, მოტივებამდე იქნა დაყვანილი (Peterson & Engwall, 2013), რაც, რასაკვირველია, პრობლემურია, რამდენადაც ქალის, როგორც გენეტიკურად დედობისკენ მიდრეკილისა და ბუნებით მზრუნველის „ყალბ“ წარმოდგენას ქმნის.

თუ შევაჯამებთ, ნათლად დავინახავთ, რომ გავრცელებული აზრის თანახმად, ქალის იდენტობა დედობასთანაა გადაჯაჭვული და დამოუკიდებლად არ არსებობს. ამგვარი შეხედულება კი, თავის მხრივ, სტიგმის წყარო ხდება, რამდენადაც ქალები, რომლებიც ამ ნორმების „საწინააღმდეგოდ“ ცხოვრობენ, ხდებიან სტერეოტიპების მსხვერპლნი ოჯახში, სამუშაო სივრცეში და ფართო საზოგადოებაში. ამასთან, რამდენადაც ცნობილია, ადგილობრივი კვლევები არ არსებობს აღნიშნულ საკითხზე, შესაბამისად, საინტერესოა ნებაყოფლობით უშვილო ქალების გამოცდილების შესწავლა.

**კვლევის მიზანი** აღნიშნული კვლევის მიზანია ნებაყოფლობით უშვილო ქალების საზოგადოებაში ადაპტაციის თავისებურებების შესწავლა ქართულ რეალობაში

### ამოცანები

- ❖ დავადგინოთ ნებაყოფლობითი უშვილობის მოტივები;
- ❖ ვიკვლიოთ, ნებაყოფლობით უშვილობასთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპები;

- ❖ შვეისწავლოთ, ნებაყოფლობით უშვილო ქალების მიერ სტერეოტიპებთან გამკლავების სტრატეგიები.

### ლიტერატურის მიმოხილვა

ნებაყოფლობითი უშვილობის გადაწყვეტილება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ოჯახის ფორმირებისა და რეპროდუქციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. თუ უშვილობა აღწერს პიროვნებას ან წყვილს, რომელსაც შვილი არ ჰყავს (გამოწვეული ფერტილური პრობლემებით), ნებაყოფლობითი უშვილობისთვის დამახასიათებელია აქტიური და ერთგული არჩევანი, უარი თქვა მშობლად გახდომაზე (Houseknecht, 1987). თავის მხრივ, ნებაყოფლობითი უშვილობის ფენომენი მოდერნულ საზოგადოებაში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რამდენადაც ბევრ ევროპულ და არაევროპულ ქვეყანაში საზოგადოების დაბერების თვალსაზრით არსებით როლს თამაშობს.

ამ ყოველივეს ფონზე, ნებაყოფლობით უშვილო ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები, ხშირად ხდებიან სტიგმატიზაციის მსხვერპლნი. როგორც ცნობილი სოციოლოგი, ირვინ გოფმანი განმარტავს, სტიგმა ატრიბუტია, რომელიც ახდენს ინდივიდის დისკრედიტაციას, საზოგადოებისგან გამორჩევასა და პიროვნულ გაუფასურებას, იგი მოიცავს სტერეოტიპებს, რომლებიც მოიაზრებს სოციალურ მიუღებლობას. გოფმანი (1963) სტიგმის კლასიფიკაცია შემოგვთავაზა და სამი ტიპი გამოყო: „სხეულის უმსგავსობა/ამაზრუნობა“, „ინდივიდუალური ხასიათის შავი ლაქები“ და თემში გავრცელებული სტიგმა, რომელიც დაკავშირებულია რასასთან, ეთნიკურობასა და რელიგიასთან. ნიშანდობლივია, რომ ნებაყოფლობით უშვილოები სტიგმატიზებულნი არიან „ინდივიდუალური ხასიათის შავი ლაქებით“, არანებაყოფლობით უშვილოები კი - მათი ფიზიკური ანომალიით/უმსგავსობით (Veivers, 1980). გოფმანის თქმით, სტიგმატიზებული ინდივიდი დაკნინებულია სრულყოფილი ადამიანიდან, დაბინძურებულ, გაუფასურებულ პიროვნებად. ავტორი ამტკიცებდა, რომ როდესაც ინდივიდს გააჩნია დისკრედიტირებადი (ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ან უცნობი) სტიგმა, განსხვავებით უკვე დისკრედიტირებულისგან (დაუყოვნებლივ შესამჩნევი ან ცნობილი), მან უნდა მართოს მისი „წარუმატებლობის/ჩავარდნის“ შესახებ ეს ინფორმაცია. ამის გაკეთება კი შესაძლებელია „დამალვისა“ (Passing) და „გამოვლენის“ (Revealing) კოდის შემუშავებით. აქედან პირველი ემყარება შემდეგ სტრატეგიებს: ფაბრიკაციას, დაფარვასა და სიფრთხილეს, ხოლო მეორე მოიცავს სტიგმის „მენეჯმენტის“ ისეთ „სახეებს“, როგორებიცაა სიგნალი, ნორმალიზება და დიფერენცირება (Herek, 1996; Woods, 1994; Beatty, 2005).

თავის მხრივ, სტიგმატიზაციაზე საუბრისას ჩნდება შეკითხვა - რატომ არიან ნებაყოფლობითი უშვილოები სტიგმატიზებულნი? ამის ახსნას გვთავაზობს გილესპი (2005), რომლის თანახმადაც, ნებაყოფლობით უშვილოთა სტიგმატიზაცია მჭიდრო კავშირშია ქალობის, როგორც დედობის, გაგება/კონსტრუქციასთან. განდოლფო (2005) საუბრობს სიმონ დე ბოვუარის მიერ დასმულ

შეკითხვაზე „რა არის ქალი?“ და განმარტავს, რომ ქალი=დედობას=საშვილოსნოს. დედობა - ესაა გაძლიერებული იდენტობა, რომელიც სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური ინსტიტუტების მიერაა წარმოებული და კვლავწარმოებული. შედეგად, დედობა იქცა ბუნებრივ, ფიქსირებულ პრაქტიკად, რომელიც ცენტრალურია ქალის იდენტობისთვის. აქ საინტერესოა ჯუდიტ ბატლერის (1993) შეხედულება, რომლის მიხედვითაც, გენდერი პერფორმატიულია. მისი თქმით, გენდერი რეალურია იმდენად, რამდენადაც იგი შესრულებულია. „გენდერული პრობლემების“ წინასიტყვაობაში ის განმარტავს, რომ გენდერის პერფორმატიულობით აიხსნება, თუ გარკვეული ქმედებების საფუძველზე როგორ იქმნება გენდერული იდენტობა. შესაბამისად, ბატლერი ამით გულისხმობს, რომ არავისთვისაა წინასწარგანსაზღვრული გენდერული აქტების შესრულება. ამასთან, ცნობილი ფილოსოფოსი დასძენს, რომ გენდერი პერფორმატიულია, ვინაიდან ის შედგება მოსალოდნელი სოციალური როლებისგან, რომლის შესრულებაც სტანდარტიზებული და მიღებულია. ამდენად, გენდერი ყოველთვის კეთებაა ანუ ბატლერი ამბობს, რომ ვერ იარსებებს გენდერული იდენტობა გენდერული აქტების გარეშე და რომ თავად იდენტობა შედგება იმ მახასიათებლებისგან, რომლებსაც მის „შედეგებად“ მიიჩნევენ (Butler, 1990). აქვე უნდა გავიხსენოთ ბატლერის რეფლექსია არა მხოლოდ გენდერზე, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ მოცემულობაზე, არამედ სქესზეც, რომელიც ბიოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს და არსებითია ნებაყოფლობით უშვილო ქალებისადმი მიმართული სტიგმატიზაციის საკითხის განხილვისას. ბატლერი აცხადებს, რომ კატეგორია „სქესი“ ნორმატიულია და ისაა, რასაც ფუკო უწოდებს „მარეგულირებელ იდეალს“. „სქესუალობის ისტორიაში“ (1978) ფუკო აცხადებს, რომ ადამიანის სხეულისა და სქესუალობის კონტროლი არსებული ძალაუფლებრივი იერარქიის კვლავწარმოებისა და სტატუს კვოს (ამ შემთხვევაში, პატრიარქალური წყობის) შენარჩუნების გზაა. ამ თვალსაზრისით გამოდის, რომ სქესი არა მხოლოდ ნორმის, არამედ მარეგულირებელი პრაქტიკის სახითაც გვევლინება, რომელიც აწარმოებს იმ სხეულებს, რომელსაც მართავს. ამრიგად, სქესი იდეალური კონსტრუქტია, რომლის მატერიალიზაციაც „იძულებით“ ხასიათს ატარებს დროის მსვლელობაში. იგი არაა სხეულის სტატიკური მდგომარეობა, არამედ პროცესი, რომლის დროსაც მარეგულირებელი ნორმები ახდენს სქესის მატერიალიზებას ამ ნორმების ძალადობრივი განმეორებით. რომ შევაჯამოთ, სქესი არაა ის, რაც ინდივიდს წარმოადგენს, ან რაც მას გააჩნია, იგი არის ნორმა, რომელიც სხეულს კულტურულ სივრცეში ადაპტაციის შესაძლებლობას აძლევს (Butler, 1993).

ამრიგად, თუ ქალებში ნებაყოფლობითი უშვილობის არჩევანსა და მასთან დაკავშირებულ სტერეოტიპს: ქალობა = დედობა = საშვილოსნოს განვიხილავთ ბატლერის შეხედულების საფუძველზე, მივალთ დასკვნამდე, რომ ქალობა და დედობა სოციალური კონსტრუქტებია, რომელიც წარმოადგენს არა ბიოლოგიურ მახასიათებელს, არამედ აქტების ჩადენისა და განმეორების საფუძველზე კვლავწარმოებულ მოცემულობას. შესაბამისად, ცალსახად შეუძლებელია დედობრივ ინსტინქტზე ვისაუბროთ, როგორც თანდაყოლილზე, ან დედობის, როგორც ქალის, ცენტრალური მახასიათებლის არსებობაზე.

## მეთოდოლოგია

კვლევისთვის სამიზნე ჯგუფად შეირჩა ნებაყოფლობით უშვილო ქართველი ქალები და ექსპერტები, რომლებიც გენდერულ საკითხებზე მუშაობენ. თავის მხრივ, შერჩევა საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, მიზნობრიობით ხასიათდება. დაწესდა ასაკობრივი შეზღუდვა, ვინაიდან აღნიშნული თემა გარკვეულ გამოცდილებას მოითხოვს. ამასთან, საქსტატის თანახმად, საქართველოში ყველაზე ბევრი მშობიარობა 25-დან 29 წლამდე ასაკის ქალებზე მოდის, ქორწინების საშუალო ასაკი კი, 2023 წლის მონაცემებით, 25-34 წლამდე მერყეობს როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში (საქსტატი, 2021, 2023). ამრიგად, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 25 და მეტი წლის მქონე ინდივიდებმა. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ ნებაყოფლობით უშვილო ქალებთან (ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი). სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციების და ზოგადი სურათის შესაფასებლად კი არსებითი აღმოჩნდა მიზნობრივი შერჩევის ნაირსახეობის, ექსპერტული შერჩევის გამოყენება. ექსპერტთა, აქტივისტთა ვინაობა მათი კომპეტენციის, კვალიფიკაციის მიხედვით განისაზღვრა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა ექსპერტმა: აქტივისტმა, ფსიქოლოგმა, სოციოლოგმა და გენდერის მკვლევარმა. ინტერვიუების ჩატარების შემდეგ, გაიშიფრა აუდიო ჩანაწერები, მომზადდა მათი ტრანსკრიპტები, რასაც მოჰყვა მოპოვებული მონაცემების კოდირება-კატეგორიზაცია. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი, კერძოდ, თემატური კონტენტ-ანალიზი. ამის შემდგომ კი ადგილი ჰქონდა მონაცემების ლოკალურ და ინკლუზიურ ინტეგრაციას.

## კვლევის შედეგები

### ნებაყოფლობითი უშვილობის მოტივები

### ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სტრესი

ნებაყოფლობითი უშვილობის მოტივებზე საუბრისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ხსენებული შესაძლოა მოიცავდეს ემოციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, მორალურ, ფილოსოფიურ თუ ამ მიზეზთა უფრო კომპლექსურ კომბინაციას. სეკომბეს (1991) თანახმად, ამ ტიპის გადაწყვეტილება ცნობილია გაცვლის თეორიის სახელით, სადაც შვილის გაჩენას ან მშობლობაზე უარის თქმის არჩევანი რაციონალური გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც სხვა ალტერნატივებთან სოციალური, ეკონომიკური და ემოციური ხარჯებისა და სარგებლის შედარების საფუძველზე მიიღება. აღნიშნული კვლევა ადასტურებს, რომ ხშირად ნებაყოფლობითი უშვილობის გადაწყვეტილება არჩევანისა და გარემოების ნაზავია. ამასთან ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტებმა ერთზე მეტი მიზეზი დაასახელეს მოტივაციებზე მსჯელობისას.

თავის მხრივ, ერთ-ერთი მოტივი ამ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სტრესი გახლდათ. კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ ბავშვის გაზრდის თანმხლებ სირთულეებზე, განსაკუთრებით პირველ წლებში, რაც, მათი თქმით, დაკავშირებულია უძილობასთან, პირადი სივრცისა და დროის არქონასთან, ბავშვის მუდმივ მეთვალყურეობასა და მასზე გამუდმებით ნერვიულობასთან. ერთ-ერთი რესპონდენტი საკუთარ დაკვირვებაზე საუბრობდა, რომ მშობლები, რომელთაც ხედავს, თავიანთ თავს აღარ ეკუთვნიან, საკუთარი საჭიროებები გადადებული აქვთ და პირადი სივრცე არ გააჩნიათ, რაც მისთვის წარმოუდგენელი და მიუღებელია. აქვე, დაასახელეს, რომ ბავშვის ყოლამ და აღზრდის ადრეულმა წლებმა შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს პარტნიორთან ურთიერთობაზე, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მუშაობს, რადგან ეს ზედმეტ დადლილობას, დამაბულობას შემოიტანს და, რადგანაც, მათი თქმით, ქვეყანაში ძიძის აყვანის პრობლემაა, ეს ვითარებას კიდევ უფრო გაამძაფრებს. კვლევის სხვა მონაწილეებმა, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ სტრესზე საუბრისას, ქართულ რეალობაში „მარტოხელა“ დედობაზეც გააკეთეს აქცენტი. მათ თანახმად, მამაკაცების 95% დისტანცირებულია შვილზე ზრუნვისგან და „აუთსაიდერულ“ მდგომარეობაში იმყოფება. შესაბამისად, არ სურთ მშობლობის ტვირთის მარტო ზიდვა და როგორც საკუთარი, ისე თავიანთი შვილის მომავლის გარისკვა.

### დედობრივი ინსტინქტის უქონლობა

ყველაზე ხშირად დასახელებული მოტივი სწორედ დედობრივი ინსტინქტის უქონლობა გახლდათ. რესპონდენტთა თქმით, ისინი თავიდან გარკვეულ მიზეზებს ეძებდნენ თავის გასამართლებლად, რომ, მაგალითად, ასაკი მოემატებოდათ და ინსტინქტები გაუღვივდებოდათ, მაგრამ შემდგომ გააცნობიერეს, რომ ამის დრო უბრალოდ არ დგება. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ის ფიქრობს, რომ ფიზიოლოგიური მომენტია შვილის ყოლის სურვილის უქონლობა. სხვები კი საუბრობენ იმაზე, რომ ბავშვობიდან სკეპტიკურად უყურებდნენ ამ საკითხს. მათი თქმით, ხშირად ესმოდათ შეხედულება, რომ ქალი უნდა იყოს დედა, რაც ზოგიერთ მათგანში გარკვეული ტიპის წინააღმდეგობასაც კი იწვევდა.

**„დრო რომ მოვიდა და უნივერსიტეტი დავამთავრე, მივხვდი, რომ რეალურად არც მაშინ მქონდა შვილის ყოლის სურვილი და რაღაცნაირად თითქოს თავს ვაჯერებდი, რომ ეს უნივერსიტეტის გამო იყო. მეგონა, რომ დრო მოვიდოდა და მომინდებოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ უბრალოდ ამის დრო არ დგება.“ (38 წლის, რესპონდენტი N1)**

ერთ-ერთი მონაწილე ასევე ხაზს უსვამს ავტომატური დედობის ცნებას და ამბობს, რომ განათლება და შემოსავალი რომ არ ჰქონოდა და მისი ცხოვრება შესაძლებლობების მხრივ ძალზედ დავიწროებული რომ ყოფილიყო, შესაძლოა მასაც ყოველგვარი გააზრების გარეშე ავტომატურ რეჟიმში გაეჩინა შვილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსად წინა კვლევებისა, ამ კვლევაშიც გამოვლინდა,

რომ ნებაყოფლობითი უშვილო ქალები ჩვეულებრივ უმაღლესი განათლების ქონითა და სამუალო ან მაღალი შემოსავლით ხასიათდებიან.

თავის მხრივ, ექსპერტებიც იზიარებენ ზემოთ დასახელებულ შეხედულებას და აღნიშნავენ, რომ მრავალ ქალს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ უფრო თავისუფლად განკარგოს საკუთარი ცხოვრება. აქტივისტი, რომელიც გენდერის საკითხების კვლევითაა დაკავებული აღნიშნავს, რომ „**ქალების ეკონომიკური ემანსიპაცია პირდაპირაა დაკავშირებული მათ პოლიტიკურ ემანსიპაციასთან, საზოგადოებრივ და კულტურულ ემანსიპაციასთან და საკუთარი სხეულის განკარგვასთან.**“ ფსიქოლოგის თქმით კი, პატრიარქატის ასეთი წნეხი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა ბევრად უფრო მეტ ქალს მიეღო უშვილობის გადაწყვეტილება.

### **ორსულობის ფიზიკური მდგომარეობისა და მშობიარობის მიმართ ზიზღი ან შიში**

არაერთი მონაწილე ორსულობის მდგომარეობისადმი ზიზღს ან შიშს ასახელებს ერთ-ერთ მოტივად. ერთი რესპონდენტი განსაზღვრავს, რომ თვითონ ორსულობის პროცესი ისეთი ზიზღის შეგრძნებას იწვევს მასში, რომ ფიქრობს, მისი სხეული ფიზიოლოგიურ დონეზე უარყოფს ამ ყოველივეს. მისი თქმით, ირგვლივ ყველა არომანტიზირებს ორსულობის მდგომარეობას და მის ბედნიერებასთან, სილამაზესთან ასოცირებას ახდენს, თუმცა არავინ საუბრობს თანმხლებ სირთულეებზე (ტოქსიკოზი, წელის ტკივილი..) ან ორსულობის შემდგომ გართულებებზე (წონის მატება, ჰემოროიდი, დაჩქარებული უჯრედების დაბერება, სიკვდილი თუ მშობიარობის შემდგომი დეპრესია), რასაც სხვა რესპონდენტებიც ეხმიანებიან. ისინი აღნიშნავენ, რომ ინფორმაციული ვაკუუმი და გაღიმიებული ბავშვებისა და დედების ფოტოები სოციალურ ქსელებსა თუ რეკლამებში ფარსია, რომელსაც ბევრი ქალი შეცდომაში შეჰყავს. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, თუ ორსულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებამდე ფიქრობდა რომ წლები გავიდოდა და შვილი მოუნდებოდა, რაც უფრო მეტს იგებს, მით უფრო ნაკლებად სურს, რადგან ემინია რომ ვერ შეძლებს ამ ყველაფერთან გამკლავებას. ამაზე საუბრობენ ექსპერტებიც და აღნიშნავენ, რომ რეკლამა ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია ინფორმაციის სამართავად და წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად სრულ სურათს არ გვთავაზობს. ისინი ამბობენ, რომ დედობა რომანტიზირებულია და არაა რეალისტურად წარმოდგენილი, მეტწილად დადებით მხარეზეა ყურადღება გამახვილებული და სიმძიმე, სირთულეები, რაც თან ახლავს ყურადღების მიღმა რჩება. გარდა ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბევრი ქალი არაა მზად ან არ სურს ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ამას მაინც აკეთებენ პარტნიორების, ოჯახების, დედების, საზოგადოების ზეწოლით და ზეგავლენით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ორსულობისა და მშობიარობის მიმართ შიში. რესპონდენტების თქმით, ორსულობასთან დაკავშირებული ემოციურ-მენტალური და ფიზიკური ცვლილებების ემინიათ და ამასთან, მშობიარობის თანმხლები ტკივილებიც აფიქრებთ, რაც ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ნებაყოფლობითი უშვილობის არჩევანის გაკეთებისა.

## ცხოვრებასთან დაკავშირებით არსებული მსოფლმხედველობა და ღირებულებათა სისტემა

მონაწილეები ამ შემთხვევაში საუბრობდნენ მათ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და ღირებულებათა სისტემაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ ცხოვრება სავსეა ტკივილით, ომით, შიმშილობით, უსამართლობით, სიღატაკით, დაავადებებით და არ სურთ სხვა ადამიანმა, განსაკუთრებით კი უმწეო ახალშობილმა, განიცადოს ეს ყოველივე. აქვე ასახელებენ ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ვეგანიზმი, კლიმატის ცვლილებები, მოსახლეობის სიჭარბე, სათანადო პირობების არარსებობა, რესურსების შეზღუდულობა და ეკოლოგიური მოცემულობის სიმწვავე. მათი თქმით, ამდენი შობადობა მძიმეა სამყაროსთვის და ამ ყოველივეს გლობალური დათბობაც ემატება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ის, რასაც ახალ ამბებში ხედავს ან კითხულობს კლიმატის ცვლილებებზე, მის გადაწყვეტილებას კიდევ უფრო ამყარებს. სხვა მონაწილეები კი ხაზს უსვამენ შვილის ყოლის გადაწყვეტილების ეგოისტურობას, რადგან, მათი თქმით, ბავშვის გაჩენის მოტივი ხშირად (თუმცა არა ერთადერთი მიზეზი) სიბერეში მარტო დარჩენის შიში ან საკუთარი არსებობის ვალიდაციაა. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს მისი დაკვირვებით, მშობლები ხშირად საკუთარი მიზნების შვილის მეშვეობით განხორციელებას ცდილობენ, მათ საკუთარ გაგრძელებად აღიქვამენ და უჭირთ იმის გაცნობიერება, რომ ის დამოუკიდებელი ინდივიდია. თავის მხრივ, ნებაყოფლობითი უშვილობის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ არჩევანი, არ გაყავდეს შვილი, არაა მეტად ან ნაკლებად ეგოისტური, ვიდრე გადაწყვეტილება შვილის ყოლისა. როგორც ფილოსოფოსი დევიდ ბენეტარი (2006) განმარტავს, ბავშვის სამყაროში მოვლინების გადაწყვეტილებას ხშირად საფუძვლად უდევს მშობლების სურვილები, ისიამოვნონ ბავშვის აღზრდით ან გააგრძელონ საკუთარი მემკვიდრეობა და გენები, ვიდრე პოტენციური პიროვნების ინტერესები. ბენეტარის თქმით, ეს ასახავს იმას, თუ რატომ შეიძლება იყოს უშვილო ადამიანი ისეთივე ალტრუისტი, როგორც ნებისმიერი მშობელი. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისევ და ისევ სამყაროს სისასტიკიდან გამომდინარე იდეოლოგიურად უფრო მართებულად მიიჩნევენ ბავშვის აყვანას, იმ ადამიანისა, რომელსაც არავინ ჰყავს და მხარდაჭერა, სიტბო სჭირდება.

## შვილის გაჩენა, როგორც უდიდესი პასუხისმგებლობა

ზემოხსენებული მოტივი ყველა რესპონდენტთან დაფიქსირდა. ისინი დედობასა და შვილის ყოლას უდიდეს პასუხისმგებლობად მიიჩნევენ და საუბრობდნენ, რომ ძალიან ბევრი მოვალეობისა და ტვირთის აღება უწევთ საკუთარ თავზე და არ სურთ, რომ თავიანთ შვილებს რამე მოაკლდეთ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ის აცნობიერებს, რომ შესაძლოა იყოს ძლიერი ქალი, მაგრამ ვერ შეძლოს კარგი დედობა, რომ იაზრებს დედობის თანმხლებ პასუხისმგებლობას და სწორედ ამ მოტივით აკეთებს არჩევანს, რომ არ იყოლიოს შვილი. იგი აქვე დასძენს, რომ შვილის აღზრდა უდიდესი პასუხისმგებლობაა იმ თვალსაზრისითაც, რომ ის ეკუთვნის არამხოლოდ დედას, არამედ საზოგადოებასაც და მისი თქმით, სწორედ ცუდად აღზრდილი შვილების გამოა ხშირად ქვეყნის უბედურებაც. ნებაყოფლობითი უშვილობის მხარდამჭერები ამასაც ეხმიანებიან და მათი თქმით, არჩევანი გააჩინო შვილი შესაძლოა უფრო ეგოისტურ აქტად მოგვევლინოს განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც ცუდი აღზრდა მთელ რიგ პრობლემებს ქმნის როგორც თავად ბავშვებისთვის, ისე საზოგადოებისთვისაც. ექსპერტები იზიარებენ ამ მოსაზრებას. მოწვეული ფსიქოლოგის, ფსიქოთერაპევტის თქმით, მშობლობა და დედობა უფრო მეტია, ვიდრე ახალი სიცოცხლის ამ ქვეყნად მოვლინება. ესაა შვილთან ურთიერთობაში ჩართულობა და მისთვის საკმარისი დანახულობის განცდის მიცემა. შესაბამისად, გაცნობიერებულად უარის თქმა შვილის ყოლაზე ფსიქოლოგს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განაცხადად ესახება.

### **ქვეყანაში არსებული არასტაბილურობა**

სენტიმენტები საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. რესპონდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ საქართველოში შვილის ყოლა სარისკოა. მათი თქმით, შვილები გააჩინო და არ ასწავლო ქვეყნის სიყვარული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა, წარმოუდგენლად მიაჩნიათ და, როგორც ამბობენ, თუ ქვეყნის სიყვარულს ჩაუნერგავ, მათაც წინა თაობების მსგავსად მოუწევთ აქციებზე დგომა, უსამართლობასთან გამკლავება და გადარჩენისთვის ბრძოლა. ერთ-ერთი მონაწილე აქვე დასძენს, რომ იმდენად არასტაბილურია ქვეყანაში არსებული ვითარება, რომ ახლა, როდესაც ყველაზე მეტად აქვს რეპროდუქციული ასაკი, განსაკუთრებით წარმოუდგენლად ეჩვენება შვილის ყოლა. სხვა რესპონდენტებიც იგივე სენტიმენტებს აჟღერებენ და დამატებით საუბრობენ ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკისა და პოლიტიკის კუთხით არსებულ პრობლემებზე. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, არ იყოლიო შვილი გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკური გადაწყვეტილებაცაა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატრიარქალურ საზოგადოებაში ცხოვრობ და ფაქტობრივად ყველა პოლიტიკოსი თუ მეზობელი ცდილობს შენი სხეულის ავტონომიაში უხეშად ჩარევას.

**„იმდენად მორყეულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სადაც არაფერი არაა გაკონტროლებული და უპასუხისმგებლობა მგონია ახალი არსების მოვლინება, რადგან მეც არ მომწონს როგორია ეს ქვეყანა და ვერ ვხვდები სხვამ რატომ უნდა გამოიაროს აქ ცხოვრება.“** (37 წლის, რესპონდენტი N11)

### **მსხვერპლის გაღების სურვილის არქონა და თვითრეალიზაციის მეტი შესაძლებლობა**

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ დედობა მათთვის, უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად, საკუთარი თავის მეორე პლანზე გადაწევასთან ასოცირდება. რესპონდენტების თქმით, ამ გადაწყვეტილების მიღება მათთვის უდიდესი მსხვერპლმწიფრვა იქნება. ერთ-ერთი მონაწილე განსაზღვრავს, რომ ბავშვი განურჩევლად იმისა, ბიოლოგიურია თუ ნაშვილები, მისთვის უძილობას, საკუთარი თავის გვერდზე გადადებას ნიშნავს და მზად არაა იმისთვის, რომ სხვა ადამიანისთვის ამ

დათმობაზე წავიდეს. აქვე დამატებით აღნიშნავს, რომ მუდმივად აქვს გადაფასების მომენტი, რომ შესაძლოა ასაკში ინანოს, თუმცა ყოველი რეფლექსია იმით სრულდება, რომ ურჩევნია ახალგაზრდობა ისე გაატაროს როგორც უნდა, ვიდრე იმ მიზეზით, რომ ასაკში დასაყრდენი ჰქონდეს, ბავშვი გააჩინოს. მეორე რესპონდენტის თანახმად, მას არ სურს საკუთარ შვილს დააყვედროს რომ საუკეთესო წლები შესწირა სხვა დედების მსგავსად. როგორც აღნიშნა, უფრო მეტის მიღწევას ლამობს და ამ ყველაფერს ვერ გადადებს მისთვის ჯერ კიდევ უცხო ადამიანისთვის.

### გავრცელებული სტერეოტიპები

მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ ხალხი ამ საკითხზე ნაკლებად საუბრობს, მონაწილეების თქმით, სტერეოტიპებს ყველგან ხვდებიან, იქნება ეს სოციალური პლატფორმები, ნათესაური თავშეყრის ადგილები, სოფლები, ოჯახი თუ გარკვეულ შემთხვევაში, სამსახურიც. რესპონდენტების თანახმად, ძირითადად აწყდებიან ისეთ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, როგორებიცაა: სიბერეში ინანებ და წყლის მომწოდებელი არ გეყოლება, დედობა ქალის ვალდებულებაა, რა აზრი აქვს ქალის ცხოვრებას, თუ შვილი არ ჰყავს, რომ პერვერსიაა და ქვეყანა არ უყვართ, რადგან საქართველოს გამრავლება არ უნდათ. გარდა ამისა, სმენიათ, რომ მათ ეგოისტებად, უპასუხისმგებლოებად, ზარმაცებად, კარიერაზე ორიენტირებულებად თვლიან, რაც აქამდე ჩატარებულ არაერთ კვლევას ეხმიანება. ამასთან, კვლევის მონაწილეების თქმით, ხშირად ამ გადაწყვეტილების დაკავშირება სექსუალურ ორიენტაციასთან (ლესბოსელები არიან), ფსიქიკურ არამდგრადობასთან ან არაფერტილურობასთან ხდება. რესპონდენტებში განსაკუთრებულ გაღიზიანებას სწორედ ის იწვევს, რომ მათი გადაწყვეტილების აღქმა არ ხდება როგორც დამოუკიდებელი, გააზრებული არჩევანის, არამედ როგორც გარეგანი ფაქტორებით, იძულებით ან იმპულსებით ნაკარნახევისა. მოწვეული სოციოლოგის შეფასების მიხედვით, ადამიანებს იმდენად შესისლხორცებული აქვთ რწმენა, რომ ბავშვის ყოლა ქალის მისია და, ზოგადად, ადამიანური ბედნიერებაა, რომ მათგან განსხვავებულ ნებისმიერ სხვა შეხედულებას ანომალიად თვლიან, რასაც ამ შემთხვევაში საქართველოს, როგორც პატარა ერის სენტიმენტებიც აძლიერებს. გენდერის მკვლევრის თქმით, კი ქართული საზოგადოება ნაკლებ ინდივიდუალისტური და მეტად კოლექტივისტურია. შესაბამისად, კოლექტიური იდენტობის მიერ ინდივიდუალურზე ზეწოლა ხდება სწორედ ტრადიციული ოჯახური ფასეულობების ადვოკატირებითა და ნებაყოფლობით უშვილობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების გაძლიერებით, რაც, თავის მხრივ, შემდგომ ვლინდება ქალებზე განხორციელებულ წნეხსა და გადარწმუნებების მცდელობებში.

ერთ-ერთი მონაწილის თანახმად, აგრეთვე გავრცელებულია ცრურწმენა, რომ უშვილობა ან დედობის გადადება რეპროდუქციულ ორგანოთა სიმსივნის შანსებს ზრდის, რასაც პარკი (2005) იმით ხსნის, რომ სამედიცინო ინფორმაცია იარაღია, რომელსაც ახალგაზრდა ქალებში შიშის დასათესად იყენებენ. ზემოხსენებული დღის წესრიგია, რომელიც ნებაყოფლობითი უშვილობის პრობლემატიზირებას ახდენს, როგორც ქალის ფიზიკურ-ემოციური ჯანმრთელობისთვის საზიანოს, რაც, თავის მხრივ, მათ სხეულზე კონტროლის მოპოვებას ემსახურება. როგორც ფუკო განმარტავს,

ძალაუფლება საზოგადოების შიგნით არსებულ პრაქტიკულად ყველა ინტერაქციაში თამაშობს არსებით როლს და ცდილობს ინდივიდთა ქმედებების მართვას იძულების, თანხმობისა და დარწმუნების მეშვეობით. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ემოციური და ფიზიკური ავადმყოფობის საფრთხე გამოიყენება ქალების დასარწმუნებლად, რათა მათ უარი „ათქმევინონ“ საკუთარ არჩევანზე, არ იყოლიონ შვილები (Foucault, 1982).

ამ ყოველივეს ფონზე საინტერესოა თუ რამდენად მიკუთვნებულად გრძნობენ თავს ნებაყოფლობით უშვილო ქალები. როგორც მათ აღნიშნეს, პარტნიორული, ოჯახური, მეგობრული თუ სამსახურებრივი ურთიერთობების შემთხვევაში მეტწილად მიმდებლობა ან დისტანცირება გამოვლინდა. აქედან პირველი სრულ მხარდაჭერასა და ნებაყოფლობითი უშვილობის გადაწყვეტილების პატივისცემას, მეორე კი, ნებაყოფლობითი უშვილო ქალების გარიყვას მოიაზრებს. აქვე აღსანიშნავია, რომ პარტნიორისა და ოჯახის მხრიდან მიუღებლობას, გადარწმუნების მცდელობებსაც ჰქონდა ადგილი, სამსახურებრივი ურთიერთობების შემთხვევაში კი დასახელდა თანამშრომელთა მხრიდან სტიგმატიზების ერთეული შემთხვევები, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლისა და წარმატების ასპექტები აღმოჩნდა. მონაწილეთა თქმით, ბევრად უფრო მარტივად პროგრესირდება მათი სამსახურებრივი ცხოვრება და, ზოგადად, კარიერა, რადგან შვილი არ ჰყავთ და მეტი დრო და რესურსი აქვთ. ამასთან, მრავალ მათგანს თავად ქართული საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდა ნაკლებად ჰქონდა, თუმცა როგორც თავად აღნიშნეს, ეს გამოწვეული იყო არაერთი ფაქტორით, მათ შორის, არარელიგიურობით, მსოფლმხედველობით თუ პოლიტიკური შეხედულებებით. ნებაყოფლობითი უშვილობა კი კონკრეტული რესპონდენტებისთვის ერთ-ერთი ფაქტორი აღმოჩნდა სხვა მრავალთა შორის. ერთეულ შემთხვევებში რესპონდენტებმა დაასახელეს რომ თავს მიკუთვნებულად გრძნობენ, რასაც იმით ხსნიან, რომ ირგვლივ რეფერენტული ჯგუფები ჰყავთ სხვა ნებაყოფლობით უშვილო ქალების სახით, რაც უადვილებთ ამ სოციუმთან თანაცხოვრებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მონაწილეებს გაუცხოების და გარიყვის შეგრძნება ჰქონდათ განსაკუთრებით უფროსი თაობისგან, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში, თანატოლებისგანაც, რასაც ზემოხსენებულთა მხრიდან ნებაყოფლობით უშვილო ქალების მუდმივი გაკიცხვის, კრიტიკისა და გადარწმუნების მცდელობები იწვევს. ჰოვარდ ბეკერი (1963) აღნიშნავს, რომ ყველა სოციალურ ჯგუფს თავისი სოციალური წესები აქვს, რომელიც განსაზღვრავს თუ რა ქცევის განხორციელება მიზანმიმართული სხვადასხვა ვითარებაში. შესაბამისად, ადამიანს, რომელიც წესებს არღვევს უნდობლობით ეკიდებიან, რადგან ის ჯგუფის მიერ აღიარებულ წესებსა თუ ნორმებს არ იცავს და ამდენად, „აუთსაიდერად“ მიიჩნევა. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს წყვილს, რომელსაც შვილი არ უჩნდება, თუმცა ჰარმონიულად და დამკვიდრებულად გრძნობს თავს ქართულ საზოგადოებაში (ანუ ქართულ სოციუმს მათდამი შედარებით მაღალი მიმდებლობა აქვს), რასაც კვლევის მონაწილე იმით ხსნის, რომ შესაძლოა გარკვეული „უხილავი საფეხურები“ არსებობდეს უშვილობის განზომილებაში, სადაც არანებაყოფლობით უშვილოები უფრო მაღალ პოზიციას იკავებენ, ნებაყოფლობით უშვილოები კი შედარებით დაბალ საფეხურზე რჩებიან, რამდენადაც საზოგადოების მიერ გაზიარებული ნორმების წინააღმდეგ მიდიან და, ამდენად, დევიანტებად მიიჩნევიან. ამას ეხმიანება მოსაზრება, რომ ადამიანს სასურველად აქცევს არამხოლოდ ბავშვის

აღზრდის პროცესში ჩართულობა, არამედ მისი ორიენტაცია და დამოკიდებულებაც ამ უკანასკნელზე (Chancey & Dumais, 2009). აქვე, სტერეოტიპებზე საუბრისას რესპონდენტებმა დაასახელეს ისეთი წყაროები, როგორებიცაა: რელიგია, ტრადიცია, კულტურა, პატრიარქატი, პოლიტიკა და განათლება. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დედობა უნივერსალური ცნება და იდეაა, რომელიც ქვეყნის ყველა ინსტიტუტში გვხვდება და, შესაბამისად, სტერეოტიპების წყაროებიც ერთმანეთთან ურთიერთგადაჯაჭვულია.

## სტერეოტიპებთან გამკლავების სტრატეგიები

### ნორმალიზება

გოფმანი (1963) ამტკიცებს, რომ დისკრედიტირებადი (ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ან უცნობი) სტიგმის შემთხვევაში ინდივიდმა უნდა მართოს მისი „წარუმატებლობის/ჩავარდნის“ შესახებ ეს ინფორმაცია. ამის გაკეთება კი შესაძლებელია დამალვისა (Passing) და გამოვლენის (Revealing) კოდის შემუშავებით. სტერეოტიპებთან გამკლავების სტრატეგიებზე საუბრისას ამბივალენტური პასუხები გამოვლინდა. ერთ-ერთი ტაქტიკა, რომელსაც მეტნაკლებად იყენებენ კვლევის მონაწილეები, ნორმალიზებაა. ნიშანდობლივია, რომ ერთეულები ნაკლებად ხვდებიან ამ ცრურწმენებს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს გარემოცვასთან ერთად (შედარებით მოდერნულად მოაზროვნე მეგობრები და ოჯახი), დამატებით იმითაც აიხსნება, რომ უბრალოდ მათი არ სჯერათ და მიაჩნიათ, რომ მომავალში გადაიფიქრებენ.

რესპონდენტების ამ ნაწილის თქმით, სტერეოტიპებსა და საზოგადოების რეაქციებს ჩვეულებრივ, ახსნის მეშვეობით უმკლავდებიან. პირველ რიგში, სხვებს მიუთითებენ, რომ დედობა ქალის მოვალეობა არაა, ქალმა სურვილისამებრ შესაძლოა ნებისმიერი როლი მოირგოს, რომ ჯერ დამოუკიდებელი ინდივიდები ვართ და, შესაბამისად, სოციალური როლები, რომლებსაც ვითავსებთ (ან, რომლებიც დაბადებიდან „მოგვენიჭება“) ცალსახად არ განსაზღვრავს ჩვენ პიროვნებას. ამასთან, კვლევის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ პირადი ბედნიერების მნიშვნელობაზე, არჩევანის თავისუფლებასა და გადაწყვეტილების საკუთარი სურვილების შესაბამისად მიღების აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი მოდის თუ არა თანხვედრაში გავრცელებულ სოციალურ ნორმებთან თუ სტანდარტებთან.

### თავის არიდება და დისტანცირება

რესპონდენტებთან გამოვლენილი ძირითადი ტენდენცია თავის არიდებისა და დისტანცირების სტრატეგიის გამოყენებაა. ისინი თვლიან, რომ ახლობელი ადამიანებისთვის საკუთარი გადაწყვეტილების ერთხელ გაზიარება მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში კი დისტანცირებას ამჯობინებენ იმ ინდივიდებისგან, რომელთაც მათი პოზიციისადმი მიმღებლობა და პატივისცემა არ გააჩნიათ. ერთი-ერთი მონაწილე როგორც აღნიშნავს, მას და მის მეგობრებს რესურსი ამოეწურათ და მიიჩნევენ, რომ არაპროდუქტიულია იმ ადამიანებისთვის საკუთარი პოზიციის ახსნა, რომელთაც

მათგან განსხვავებული შეხედულების მიმდებლობა ნაკლებად გააჩნიათ, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ავტომატურად გადარწმუნების მცდელობებზე გადადიან. სხვა მონაწილეებიც ამ სენტიმენტს იზიარებენ: ზოგისთვის ეს ძალიან პირადული გადაწყვეტილებაა და ამიტომ ღიად არ საუბრობენ, სხვები კი თვლიან, რომ არ არიან ვალდებული მუდამ თავი იმართლონ. ამ უკანასკნელთა აზრით, ესმით, რომ გარკვეულ შემთხვევებში ახსნა საჭიროა და შესაძლოა ასეც მოიქცნენ, მაგრამ როგორც ამბობენ, ყოველთვის არც ამის სურვილი აქვთ და არც საკმარისი მენტალური მზაობა. აქვე, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზეც, რომ ხშირად უშვილობასთან დაკავშირებულ კითხვებზე თავის არიდებისას, კვლავ უწევთ იგივე ადამიანებისგან მსგავსი შეკითხვების მოსმენა, შესაბამისად, დისტანცირება ამ დროს ყველაზე მისაღებ ალტერნატივად ესახებათ.

### იუმორის ჩართვა

რამდენიმე რესპონდენტი იუმორსაც იყენებს სტერეოტიპებთან ან ხალხის რეაქციასთან გამკლავებისთვის. მათი თქმით მიხვდნენ, რომ ახსნა უშედეგოა და ხშირად შესაძლოა თავის არიდებაც არაეფექტური აღმოჩნდეს, ამიტომაც ვითარების განმუხტვისთვის იუმორის ჩართვა საუკეთესო მექანიზმად მიაჩნიათ, ისინი იშველიებენ არგუმენტებს, რომ ჯერ ვერ იპოვეს სასურველი პარტნიორი ან ეუბნებიან, რომ თავად მათ (პირობითად, ნათესავებმა) უპოვონ შესაფერისი მამაკაცი და ამის შემდგომ დაფიქრდებიან შვილის ყოლაზეც. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ჩვეულებრივ ზეწოლას განიცდის, დაღლილია და შეგრძნება აქვს, რომ ირგვლივ სამყარო ეუბნება, თითქოს დედობის გარდა ყველაფერი სიყალბე იყოს. ამრიგად, იუმორის ჩართვა შეიძლება ითქვას, ნებაყოფლობით უშვილო ქალებზე არსებული ზეწოლისა და წნეხის შემსუბუქებას ემსახურება, რითიც ეს ინდივიდები საკუთარი რეალობის შედარებით რბილად წარმოჩენასა და შემსუბუქებას ცდილობენ.

### ფაბრიკაცია

რესპონდენტების მცირე ნაწილი ფაბრიკაციასაც მიმართავს. მათი თქმით, ყოველთვის ვერ გრძნობენ პოტენციალს, რომ ახსნით შესაძლოა რამეს მიაღწიონ, ამიტომ ხან თავის არიდებასა და დისტანცირებას მიმართავენ, გარკვეულ შემთხვევებში კი - ფაბრიკაციას. მონაწილეების თქმით, ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც თავი არაფერტილურად მოუჩვენებიათ ან უთქვამთ, რომ მოგვიანებით იყოლიებენ, ან ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გამოუყენებიათ „თავის გამართლების“ საბუთად.

**„ამ ბოლო დროს ვამბობ საქართველო ლამის რუსეთის გავლენის ქვეშაა და ამ პირობებში ბავშვი როგორ გავაჩინო-მეთქი. მანამდე კოვიდპანდემიას ვიშველიებდი არგუმენტად ან ვამბობდი, რომ ფერტილურობის პრობლემები მაქვს და ამიტომ არ მყავს შვილი.“ (32 წლის, რესპონდენტი N3)**

ამას ეხმიანება ექსპერტი ფსიქოლოგი და აღნიშნავს, რომ თუ პირდაპირ ღიად საუბრის შემთხვევაში ადამიანებს თავდაცვის მექანიზმი ერთვებათ განსხვავებული აზრის მოსმენისას, როდესაც „კრეატიულ მორგებას“ მიმართავ შესაძლოა თანაგრძნობა გაუჩნდეთ, რაც იმით აიხსნება,

რომ მათ ღირებულებებთან არ მოდიხარ წინააღმდეგობაში და, შესაბამისად, მეტ ტოლერანტობასაც ავლენენ.

## დასკვნა

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნებაყოფლობით უშვილო ქალების საზოგადოებაში ადაპტაციის თავისებურებების შესწავლა ქართულ რეალობაში. კვლევის შედეგები ეხმიანება როგორც ბატლერის, ისე სეკომბეს შეხედულებას და ცხადყოფს, რომ დედობა არაა ყველა ქალის მოწოდება და დედობრივ ინსტინქტებზე, როგორც თანდაყოლილზე, ვერ ვისაუბრებთ, რამდენადაც შვილის გაჩენასა ან მშობლობაზე უარის თქმა პრაგმატული გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც სხვა ალტერნატივებთან ეკონომიკური, სოციალური, და ემოციური სარგებლისა და ხარჯების შედარების შედეგად მიიღება. დადგინდა, რომ ხშირად ნებაყოფლობითი უშვილობის გადაწყვეტილება არჩევანისა და გარემოებების ნაზავია და რესპონდენტებს ერთზე მეტი მიზეზი აქვთ ამ გადაწყვეტილების მიღებისას. ეს მოტივებია: ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სტრესი; დედობრივი ინსტინქტის უქონლობა; ორსულობის ფიზიკური მდგომარეობისა და მშობიარობის მიმართ ზიზღი ან შიში; ცხოვრებასთან დაკავშირებით არსებული მსოფლმხედველობა და ღირებულებათა სისტემა; შვილის გაჩენის, როგორც უდიდესი პასუხისმგებლობის აღქმა; ქვეყანაში არსებული არასტაბილურობა; მსხვერპლის გაღების სურვილის არქონა და თვითრეალიზაციის მეტი შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოებაში ამ საკითხზე ნაკლებად საუბრობენ, მონაწილეთა თანახმად, სტერეოტიპებს ყველგან ხვდებიან, რაც ექსპერტების თქმით, იმით აიხსნება, რომ ქართული საზოგადოება მეტად კოლექტივისტურია, ზემოხსენებული წარმოდგენები კი იმდენად შესისხლხორცებული, რომ ნებისმიერი განსხვავებული შეხედულება ანომალიად და დევიაციად მიიჩნევა, რასაც საქართველოს, როგორც პატარა ერის სენტიმენტებიც აძლიერებს. თავის მხრივ, ამ ყოველივეს ფონზე გამოვლინდა, რომ ნებაყოფლობით უშვილო ქალებს ქართულ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის განცდა ნაკლებად ჰქონდათ, თუმცა ეს ისეთი ფაქტორებით იყო გამოწვეული, როგორებიცაა არარელიგიურობა, მსოფლმხედველობა და პოლიტიკური შეხედულებები. ნებაყოფლობითი უშვილობა, კი ერთ-ერთი ფაქტორი აღმოჩნდა სხვა მრავალთა შორის. ერთეულ შემთხვევებში გამოვლინდა, რომ მონაწილეები თავს დამკვიდრებულად თვლიან, რასაც იმით ხსნიან, რომ რეფერენტული ჯგუფი ჰყავთ სხვა ნებაყოფლობით უშვილო ქალების სახით, რაც სოციუმთან თანაცხოვრებას უადვილებს. მეორე მხრივ, კი გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონაწილეების გარკვეულ რიცხვს გაუცხოებისა და გარიყვის შეგრძნება ჰქონდა განსაკუთრებით უფროსი თაობისგან (ნათესავებისა თუ ოჯახის წევრებისგან), თუმცა გარკვეულ შემთხვევებში თანატოლებისგანაც (მეგობრებისგან), რაც ხსენებულთა მხრიდან დისტანცირებით, მუდმივი გაკიცხვისა და გადარწმუნების მცდელობებით აიხსნება. შესაბამისად, კვლევა ადასტურებს, რომ მიუხედავად ნებაყოფლობითი უშვილობის შედარებით ახალი და მზარდი ტენდენციისა, ნებაყოფლობით უშვილო ქალები მარგინალიზებული ჯგუფია,

რომელიც ცხოვრების ყველა ასპექტში გარკვეული ხარისხით განიცდის ზეწოლასა და სტიგმატიზაციას.

ბოლოს, დასახელდა სტერეოტიპთა წყაროები და მათთან გამკლავების სტრატეგიები, როგორებიცაა: საკუთარი გადაწყვეტილების ნორმალიზება და სტერეოტიპებთან, საზოგადოების რეაქციებთან, ახსნის მეშვეობით გამკლავება; თავის არიდება და დისტანცირება (მეტწილად სწორედ ამ სტრატეგიას ანიჭებენ უპირატესობას). თავის არიდების სტრატეგიის არაეფექტურობის შემთხვევაში ვითარების განმუხტვის მიზნით იუმორის ჩართვა; აუცილებელობის ჟამს კი ფაბრიკაცია, რომლის დროსაც აცხადებენ, რომ შვილს მოგვიანებით იყოლიებენ ან თავს არაფერტილურად ასაღებენ, რაც როგორც გამოვლინდა სხვებში თანაგრძნობას, ნაკლებ აგრესიასა და მეტი ტოლერანტობის გამოვლენას იწვევს.

#### **ბიბლიოგრაფია:**

Ashburn-Nardo, L., (2017). Parenthood as a moral imperative? Moral outrage and stigmatization of voluntarily childfree women and men, *Sex Roles: A Journal of Research*, 393-401.

Butler, J., (1993). *Bodies that Matter: On the Discursive Limits of "Sex."* New York: Routledge.

Butler, J., (1990). *Gender Trouble: Feminism and the subversion of identity.* New York: Routledge.

Becker, Howard S., (1963). *Outsiders: Studies in the sociology of deviance.* New York: Free Press.

Benatar, D., (2006) *Better Never to Have Been: The harm or Coming into Existence:* Oxford University Press.

Carey, G.E., (2009). Discourse, power and exclusion: The experiences of childfree women, *Theorizing Social Exclusion*parenthood. New York: Routledge.

Chancey, L., & Dumais, S.A., (2009). Voluntary childlessness in marriage and family textbooks, 1950-2000. *Journal of Family History*, 206-223.

Dykstra PA and Hagestad GO (2007). Childlessness and in two centuries: Different roads – different maps? *Journal of Family Issues* 11: 1518-1532.

Foucault, M. (1978) *The history of sexuality, Volume 1: An Introduction.* Pantheon Books, New York

Foucault, M., (1982). The subject and power. *Critical Inquiry*, 777-798.

Goffman, E., (1963). *Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity*, Simon & Schuster Inc.

Gillespie, R., (2000). when no means no: Disbelief, disregard and deviance as discourses of voluntary childlessness. *Women's Studies International Forum*, 223-234.

Gandolfo, E., (2005). A lesser women? Fictional representations of the childless woman. *Motherhood: Power and oppression*. A. O' Riley, M. Porter, P. Short (Eds). Toronto: Women's press.

Houseknecht, S.K., (1987). Voluntary childlessness. *Handbook of Marriage and the Family*, Sussman M.B. & Steinmetz, S.K., (Eds), 369-395.

Lee. C., & Gramotnev. H., (2006). Motherhood plans among young Australian Women. *Journal of Health Psychology*, 5-20.

Maclean, T.L., Clair, J.A. & Beatty, J.E., (2005). Out of Sight But Not Out of Mind: Managing Invisible Social Identities in the Workplace. *Academy of Management Review*, 30(1), 78-95.

Miettinen. A., Rotkirch. A., Szalma. I.,Donno. A., & Tanturri. M.L., (2015). Increasing Childlessness in Europe: Time trends and country differences, *Families and Societies*.

Park. K., (2002). Stigma management among voluntarily childless. *Sociological Perspectives*, 21-45.

Park. K., (2005). Choosing childlessness: Weber's typology of action and motives of the voluntay childless. *Sociological Inquiry*, 372-402.

Peterson. H., Engwall.K., (2013). Silent bodies: Childfree women's gendered and embodied eperiences. *European Journal of Women's Studies*, 20 (4), 376-389.

Rowlands I & Lee C., (2006). Choosing to have children or choosing to be childfree: Australian students attitudes towards the decisions of heterosexual and lesbian women. *Australian Psychologist*, 55-59.

Shildrick. M., & Price. J., (1999). *Feminist Theory and the Body: A Reader*, New York: Routledge.

Seccombe, K., (1991). Assessing the costs and benefits of children: Gender comparisons among childfree husbands and wives. *Journal of Marriage and The Family*, 191-202.

საქსტატი, (2021, 2023), კატეგორიები: ქორწინება და დაბადება.  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba>  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba>

Veevers, J. E., (1975). The moral careers of voluntarily childless wives: Notes on the defense of a variant world view. *The Family Coordinator*. 24 (4), 473-487.

Veevers, J.E., (1980). *Childless by Choice*. The Univeristy of Western Ontario, Butterworths.

წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.